პროლეტარეგო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

1920 — გაზეთი გამოდის 1920 წლის 3 ივნისიდან — 1978

საქართველოს კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოსა და საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოს ორგანო

КОМУНИСТИ — ОРГАН ЦК КП ГРУЗИИ, ВЕРХОВНОГО СОВЕТА ГРУЗИНСКОЙ ССР И СОВЕТА МИНИСТРОВ ГРУЗИНСКОЙ ССР

ხუთშაბათი 13 აპრილი 1978 წ. № 87 (17131) ფასი 2 კაპ.

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესიის გახსნის შესახებ

საქართველოს სსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე მერვე სესია გაიხსნება 1978 წლის 14 აპრილს 14 საათზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს სხდომათა დარბაზში.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატების რეგისტრაცია და ცნობების გაცემა იწარმოებს 13 აპრილს 9 საათიდან 21 საათამდე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმში, ოთახები — № 6, № 11, ტელეფონები: 99-08-54, 93-78-01, 99-67-16, 99-56-18, 93-79-50, 93-75-06.

14 აპრილს რეგისტრაცია იწარმოებს დილის 9 საათიდან.

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომის შესახებ

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს უხუცესთა საბჭოს სხდომა გაიმართება 1978 წლის 14 აპრილს 13 საათსა და 30 წუთზე საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სხდომათა დარბაზში.

მეცხოველეობას — მტკიცე საკვები ბაზა!

საქართველოს კონსტიტუციის პროექტში ჩაწერილია, რომ „სახელმწიფო ეურდნობა მშრომელთა შემოქმედებითს აქტიურობას, სოციალისტურ შეჯიბრებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის მიღწევებს, სრულფიფს ეკონომიკისადმი ხელმძღვანელობის ფორმებსა და მეთოდებს და უზრუნველყოფს შრომის ნაყოფიერების ზრდას, წარმოების ეფექტიანობისა და შუშაობის ხარისხის ამაღლებას“. სოციალისტური შეჯიბრების ქმედითობაზე, შეჯიბრების ფორმების სრულყოფაზე დიდად არის დამოკიდებული აგრეთვე მეცხოველეობის ფერმების ეფექტიანობისა და საკვებმომპოვებელთა შრომის ნაყოფიერების გაზრდება.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტი ყოველთვის პრინციპულად მოითხოვს, რომ პირველ რიგში განვამტკიცოთ მეცხოველეობის განვითარების საფუძველთა საფუძველი — საკვები ბაზა. როგორც საქართველოს კპ ცენტრალური კომიტეტის მეცხრე პლენუმზე ითქვა, საკვებმოპოვება, საკვებწარმოება და საკვებგადამუშავება ჩვენი სახალხო მეურნეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი დარგია, რომელსაც სპეციალიზაციაც, კონცენტრაციაც, ინტეგრაციაც, წარმოებისა და გადამუშავების სოლიდური ტექნოლოგიაც. ამიტომ საკვებწარმოების ზონალური სპეციალიზაცია შეხამებული უნდა იყოს მეცხოველეობის დარგის განლაგებისა და კონცენტრაციის პრინციპებთან. წარსულის შეცდომები, როცა ზოგიერთი მსხვილი სპეციალიზებული კომპლექსის მშენებლობისას რეალურად არ ითვალისწინებდნენ საკვებ რესურსებს, რაც ამცირებდა გაწეული კაპიტალური ხარჯების ეფექტიანობას, დღესაც გვახსენებენ თავს.

ამის საფუძველზე საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ ამ დღეებში მიიღეს დიდმნიშვნელოვანი დადგენილება „1978 წელს საკვების წარმოების, დამზადებისა და გამოყენების საქმეში პარტიული, საბჭოთა და სამეურნეო ორგანოების ამოცანათა შესახებ“, რომელშიც აღნიშნულია, რომ რესპუბლიკის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა, სამეურნეოთაშორისო გაერთიანებებმა, რომლებიც ასრულებენ სკკპ XXV ყრილობისა და საქართველოს კომპარტიის XXV ყრილობის, აგრეთვე საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებებს, გარკვეული წარმატებები მოიპოვეს საკვებით მეცხოველეობის უზრუნველყოფაში როგორც ზამთრის, ისე ზაფხულის საძოვრებზე. შარშან საზოგადოებრივმა მეურნეობებმა პირუტყვის გამოზამთრებისათვის დააგროვეს დიდძალი საკვები — 1,6 მილიონ ტონაზე მეტი უხეში და 702 ათასი ტონა წვნიანი საკვები, 22 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი, 168,5 ათასი ტონა მარცვლეულის ფურაჟი.

ამ ბოლო წლებში და შარშანაც გაუმჯობესდა მეცხოველეობაზე ზრუნვის საქმე. ამაზე მეტყველებს ზემოთ მოყვანილი ციფრები. ასეთი დიდი რაოდენობით საკვები ჩვენს რესპუბლიკაში ჯერ არ დამზადებულა. ამის მიუხედავად ამ გაზაფხულზე ბევრ კოლმეურნეობასა და საბჭოთა მეურნეობას არ ეყო პირუტყვის საკვები. საკვების საერთო უმმარისობის მიზეზი ისიც არის, რომ რესპუბლიკაში წლითიწლობით ვერ სრულდება სილოსისა და საკვები ძირხვნების დამზადების დავალებანი. ამ მეტად საჭირო და ყუთიანი საკვების დამზადების გეგმა შესრულდა 70 პროცენტით, ბალახის ფხვნილისა — 61, გრანულირებული და დაბრიკეტებული საკვებისა — მხოლოდ 20 პროცენტით.

პირუტყვის საკვების ხარჯვის საქმეში რესპუბლიკის მეცხოველეობამ უნდა გადაიღოს ახმეტის რაიონის ზემო ალვანის საბჭოთა მეურნეობის მეღორეობის ფერმის ბრიგადირის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს დეპუტატის ნაზი პეტრიაშვილის გამოცდილება. აქ ყოველი კილოგრამი საკვები პირუტყვის გასუქებას ხმარდება. არც ერთი კილოგრამი საკვები უქმად არ უნდა დაიკარგოს.

ზოგიერთი რაიონის სოფლის მეურნეობის ორგანოები სათანადო ყურადღებას არ უთმობდნენ საკვები კულტურების მოვლა-მოყვანის კომპლექსურ ღონისძიებათა აგროვადებში და ზუსტად განხორციელებას. ამის გამო ამ ბოლო დროს არ სრულდება სასილოსე, მრავალწლოვანი და ერთწლოვანი ბალახების, საკვები ძირხვნების მოსავლიანობის გეგმები. გარდა ამისა სათანადოდ ვერ იყენებენ მანქანებსა და დანადგარებს. ზოგიერთ მეურნეობაში ხშირად ცდება სასილოსე მასის ასაღები და სენაჟის, ბალახის ფხვნილისა და გრანულირებული საკვების დასამზადებელი მანქანები. ამ რამდენიმე წლის წინათ წითელწყაროს რაიონის ინიციატივით საზოგადოებრივ მეურნეობებს უნდა შეექმნათ საკვებშესამზადებელი საამქროები, ეს კარგი თაოსნობა ბევრ მეურნეობაში ვერ გავრცელდა და პირუტყვს ძველებურად შუამზადებელი საკვებით კვებავენ, რაც იწვევს თვის, ნამჯისა და ჩალის დიდ დანაკარგებს, თანაც ასეთი საკვები ნაკლებყუთიანია და პირუტყვის ლაქტაციაზე უარყოფითად მოქმედებს.

ამაში მაშინვე დავრწმუნდებით, თუ გულდასმით გავაანალიზებთ წლევანდელი წლის პირველ კვარტალში რძის დამზადების გეგმის შესრულების ცხრილს. ნათქვამია, პირუტყვს რძე ენაზე აქვსო. ეს იმას ნიშნავს, რომ ძროხას როგორც კვებავ, ისე მოიწველის. ლაზჩხუთის რაიონმა რძის დამზადების პირველი კვარტალის გეგმა 73 პროცენტით შეასრულა, წულუკიძის რაიონმა — 78, გურჯაანისამ — 80, ორჯონიკიძისამ — 89 პროცენტით. რძის დამზადების პირველი კვარტალის გეგმები ვერ შეასრულეს აგრეთვე ყვარლის, ახმეტის, ბოგდანოვკის, ასპინძის, გორის, ბორჯომის, საგარეჯოს, სიღნაღის, წითელწყაროს, დმანისის, თიანეთის, სამტრედიის, ცხაკაიას, აფაზეთის ასსრ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის საზოგადოებრივმა მეურნეობებმა.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა და რესპუბლიკის მინისტრთა საბჭომ თავიანთი დადგენილებით არასაკმარისად ცნეს საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის სამინისტროს, ასპინძის, დუშეთის, თიანეთის, ზესტაფონის, ცაგერის რაიონებისა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის პარტიული, საბჭოთა, სახოფლო-სამეურნეო ორგანოების მუშაობა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის 1975 წლის XVIII პლენუმის გადაწყვეტილებათა შესრულებისათვის — საკვების წარმოების, დამზადების, მომზადების, გამოყენების დარგში და მოსთხოვეს აამაღლონ აპარატის შესაბამისი ქვეგანაყოფებისა და ადგილობრივი ორგანოების პასუხისმგებლობა და ოპერატიულობა ამ დადგენილებაში აღნიშნული ყველა ნაკლის აღმოფხვრის და 1978 წელს საკვების დამზადების ხეზონის სანიმუშოდ ჩატარების საქმეში.

საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და რესპუბლიკის მთავრობის ეს მკაცრი და სამართლიანი შეფასება აქ ჩამოთვლილი რაიონების ხელმძღვანელთა გარდა უნდა გაითვალისწინონ სხვა რაიონების პარტიულმა, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციებმა. მათ უნდა დარაზმონ მშრომელები საკვების დაგროვების წლევანდელი გეგმების შესასრულებლად. ამთავითვე მთელი ძალით გააჩაღონ სოციალისტური შეჯიბრება საკვებმოპოვების, საკვებწარმოებისა და საკვებგადამუშავების მაღალ დონეზე დაყენებისათვის. შეჯიბრებას ადგილებზე პარტიული ორგანიზაციები უნდა ხელმძღვანელობდნენ, ხოლო ავანგარდში კომუნისტები უნდა იყვნენ. მათ აქედანვე საქმიანად, მთელი სერიოზულობით უნდა იზრუნონ საკვები სავარგულების სტრუქტურის გაუმჯობესებისებისათვის, საკვები კულტურების მოსავლიანობის გადიდებისათვის, ყოველ ჰექტარ სახნავზე, სადაც ეს შესაძლებელია, ორი მოსავლის მიღებისათვის, კულტურული სარწყავი ხაძოვრების შექმნისათვის, ბუნებრივი სათიბებისა და საძოვრების ზედაპირული და ძირეული გაუმჯობესებისათვის, საკვების წარმოებისათვის, დამზადებისა და დაცვა-შენახვისათვის, მომზადების ტექნოლოგიის გაუმჯობესებისათვის. რესპუბლიკის საკვებმომპოვებელთა ამოცანაა, ჩადონ 800 ათასი ტონა სენაჟი, 50 ათასი ტონა ჩალა-ნამჯა, დაამზადონ 640 ათასი ტონა თივა, 900 ათასი ტონა სილოსი, 40 ათასი ტონა ბალახის ფხვნილი, 160 ათასი ტონა საფურაჟე მარცვალი.

ახლა, გაზაფხულის ცვლილებად ამინდში საკვებმომპოვებლებმა მეძინდრეებთან და მექანიზატორებთან ერთად ყველაფერი უნდა იღონონ, რომ აგროვადებში და მაღალხარისხოვნად შეასრულონ საკვები კულტურების თესვისა და მოვლის სამუშაოები. საქმე ისე უნდა მოვაწყოთ, რომ საკვები კულტურების თესვა უთოოდ აგროვადებში დამთავრდეს.

მოვიზიარაროთ ყველგან წლიანახევრის მარაგი უუათიანი ხაკვები — ასეთია დღეს ამოცანა!

საპირველმაისო ვაჩარზე

დაწინაურდნენ

ტყიბული (საკ. კორ.). წლეულს 4.800 ტონა ზეგეგმითი საკოქსე ქვანახშირის გამოშვება ივალდებულა ქვანახშირის გამამდიდრებელი ფაბრიკის კოლექტივმა.

პირველ კვარტალში საწარმოს ათასობით ტონა ზეგეგმითი ქვანახშირი გამოუშვა, რუსთაველ მეტალურგებს დავალების გადამეტებით 8 რკინიგზის ეშელონი კონცენტრატი გაუგზავნა. ეს ნიშნავს, რომ ნაკისრი წლიური ვალდებულების ნახევარი უკვე გადაღებულია. წლის დასაწყისიდან გეგმის გადამეტებით უკვე რეალიზებულია 62 ათასი მანეთის პროდუქცია.

საპირველმაისო სოციალისტურ შეჯიბრებაში დაწინაურდნენ ფაბრიკის ცვლები, რომლებსაც ვ. გელაძე და ო. ბუბაშვილი უდგანან სათავეში.

მკერავთა შემართება

გასულ საიუბილეო წელს გამოლილ რესპუბლიკურ სოციალისტურ შეჯიბრებაში მრავალფეროვანი შედეგების მიხედვით თბილისის პირველი მაისის სახელობის სამკერვალო ფაბრიკის კოლექტივი უკვე მესამედ დაჯილდოდა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის, რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს, პროფსაბჭოსა და ალკკ ცენტრალური კომიტეტის გარდამავალი წითელი დროშით.

ამჟამად მკერავები დგანან რა სპირველმაისო შრომითს ვახტზე, პირობას დებენ, რომ აპრილის გეგმას ვადამდე შეასრულებენ და ზეგეგმით ათასობით მანეთის პროდუქციას გამოუშვებენ.

მ. ნაბუებია.

თაოსნობის პასუხად

ჭიათურა. (საკ. კორ.). მოსკოვის მოწინავე სამრეწველო საწარმოთა პატრიოტულ თაოსნობას — „ხუთწლედის სამი წლის დავალება — სსრ კავშირის კონსტიტუციის პირველი წლისთავისათვის!“ — ერთ-ერთი პირველი გამოეხმაურა ახალი ციხვისის მაღაროს ნოვატორი, გვირაბგამყვანთა კომპლექსური ბრიგადის ბრიგადირი, სკკპ XXV ყრილობის დელეგატი ვ. ბაქრაძე, მან თავიანი კორეკტივი შეიგანა ამ თაოსნობაში. ქართველი სამთოელი კისრულობს, რომ ამ თარიღისათვის შეასრულოს პირადი ხუთწლიანი გეგმა.

ვ. ბაქრაძემ მეათე ხუთწლედის განვლილ ორ წელიწადში დავალების გადამეტებით ამოიღო 4.319 ტონა მანგანუმის მადანი, რაც გეგმის 167 პროცენტს შეადგენს. უფრო მაღალი მაჩვენებლები აქვს ახალი სამეურნეო წლის განვლილ პერიოდში.

ნოვატორის წამოწყებას, მის შემართებას ერთსულოვნად დაუჭირა მხარი მშობლიური საწარმოს კოლექტივმა. აქ ყველა სამთოელმა გადახედა თავის შესაძლებლობას და საუთარი პორიზონტებიც დაისახა. მაგალითად, საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატი, მბურღავი ვ. გელაშვილი, მეტიგე ვ. გოგატიშვილი, გვირაბგამყვანი ი. ბირბიჩაძე და სხვები 7 ოქტომბრისათვის კისრულობენ ოთხი წლის გეგმის შესრულებას.

შეჯიბრების მეთაურებს ბევრი მიმდევარი გამოუჩნდა და მაღაროთა სამმართველოს კოლექტივმა მიმდინარე წლისათვის ახალი გადიდებული ვალდებულებები იკისრა. ითხოვსელები ახლა ამისათვის ებრძვიან, რომ წლის ბოლომდე მეტალურგიულ ქარხნებს გაუგზავნონ 230 ათასი ტონა მანგანუმის სასაქონლო კონცენტრატი, რაც გეგმით გათვალისწინებულს 6.000 ტონით აღემატება.

სახელმოხვეჭილი კოლექტივი ამჟამად საპირველმაისო შრომითის ვახტზე დგას და ყოველდღიურ გეგმებს დიდი გადაჭარბებით ასრულებს, რაც ქვეყნისათვის მოცემული პირობის განაღდების სრულ გარანტიას იძლევა.

ო. ნიქაბაძე.

30 ათასი ტონით მეტი

თბილისის № 3 სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს მძღოლები, რომლებმაც პირველ კვარტალში აღრესატებს გეგმის გადაჭარბებით ჩაბარეს 35 ათასი ტონა სახალხო სამეურნეო პროდუქცია, ამ დღეებში წარმატებით დგანან სამაისო ვახტზე და ყველაფერს აკეთებენ იმისათვის, რომ მომავალი დღესასწაულისათვის კიდევ 30 ათასი ტონით გაადიდონ ზეგეგმითი ტვირთის რაოდენობა.

(საქინფორმი).

ხურათზე: ენგურჰესის ძალური კვანძის მოწინავე მშენებლები (მარჯვნიდან) გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი ზურაბ ქორაია, სამუშაოთა მწარმოებელი თამაზ ომანაძე, კომპლექსური ბრიგადის ხელმძღვანელი შუქრი აბაკელია, ბრიგადირი ლადო დგებუაძე. მეხუთე უბნის უფროსი მოველი ჭაავა და გვირაბგამყვანთა ბრიგადის ხელმძღვანელი რეზო ცატავა.

თ. შუტკარაძის ფოტო.

დღეს ენგურჰესის მშენებლობაზე

ავტოკოლონა მთებისაკენ მიიწევს

ჩვენი საუკუნის უდიდეს მშენებლობას კეთილსინდისიერად ემსახურება რესპუბლიკის სავტომობილო ტრანსპორტის სამინისტროს მთელი რიგი საწარმოები, მათ შორის ზუგდიდის სატვირთო ავტოსატრანსპორტო საწარმოს დირექტორმა გურამ ემუხვარმა, — წლეულს მათი რიცხვი 50-მდე გაეზარდეთ. საჭირო შემთხვევაში იმდენ მანქანას დაგახმარებთ მშენებლებს, რამდენსაც მოგვთხოვენ. ჯერის წყალსაცავის ვასების მეორე რიგის სამუშაოების დროზე დამთავრება ჩვენზეც დიდად არის დამოკიდებული. ამიტომ ძალასა და ენერგიას არ ვზოგავთ გეგმების გადაჭარბებით შესრულებისათვის. პირველი კვარტალის გეგმა 20 მარტისათვის შეასრულეთ. ამ ხნის განმავლობაში მარტო კაშხალის ტანში ჩასაწყობად ბეტონის ქარხნიდან გავზიდეთ 45 ათას კუბურ მეტრზე მეტი მაღალი სიმტკიცის ბეტონი.

ციცაბო კლდეებზე მძიმე ტვირთის ტარება ერთობ რთული, მძიმილის ერთი შეცდომა, ყურადღების ოდნავ მოდუნება. ტვირთთან ერთად უფსკრულში გადაჩეხვას მანქანა.

გ. ემუხვარი მოწინავეთა შორის გვისახელებს მძღოლთა იმ ბრიგადებს, რომლებსაც ბ. ჯაბეა, ზ. ციმულარია და კ. სამუშია ხელმძღვანელობენ, მძღოლთაგან კი — მ. ქარდავა, პ. ფიფიას, მ. ნარსია, ო. მიქელაძეს, გ. ქავთარაძეს, პ. ბალთურიას, ა. ფიფიას, ჯ. მოლაშხიას, რომლებიც ცვლაში ცალნახევრის გეგმებს ასრულებენ.

რეპუბლიკის ახალი კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) პროექტის გამოქვეყნებამ ტრანსპორტის მუშაკთა ახალი შრომითი აღმავლობა გამოიწვია. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ კონსტიტუციის პროექტისადმი, სწავლობენ და ერთმანეთს უხსნიან თავიანთ შთაბეჭდილებებს. ტრანსპორტელებმა გადაწყვიტეს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულონ წლიური დავალებები.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

საბჭოთა რუსეთის ახალი კონსტიტუცია

12 აპრილს რუსეთის სფსრ უმაღლესმა საბჭომ თავის რიგგარეშე მეშვიდე სესიაზე მიიღო რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია (ძირითადი კანონი).

დილის 10 საათზე მოსკოვის კრემლის დიდ სასახლეში დაიწყო რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს საბოლოო სხდომა.

მჭუხარე, ხანგრძლივი ტაშით შეხვდნენ დეპუტატები აბხაზაგებს ლ. ი. ბრეჟნევს, ა. ა. გრომიკოს, ა. ნ. კოსიგინს, თ. დ. კულაკოვს, მ. ა. სუსლოვს, დ. თ. უსტინოვს, ვ. ვ. კუზნეცოვს, ბ. ნ. პონომარიოვს, მ. ს. სოლომენცევს, კ. უ. ჩერნენკოს, ი. ვ. კაბიტონოვს, ვ. ი. დოლგიხს, მ. ვ. ზიმიანინს, ი. პ. რიაბოვს.

რუსეთის სფსრ კონსტიტუციის პროექტის საბოლო ტექსტის მოსამზადებელი სარედაქციო კომისიის მუშაობის შედეგების შესახებ ინფორმაცია გააკეთა კომისიის თავმჯდომარემ სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს წევრობის კანდიდატმა, რუსეთის სფსრ მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარემ დეპუტატმა მ. ს. სოლომენცევმა. რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს სესიის მუშაობა, თქვა მან, რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის დამამთავრებელი ეტაპია. სესიაზე გამოვიდა 34 დეპუტატი, რომლებიც წარმოადგენდნენ საზოგადოების ყველა კლასსა და სოციალურ ფენას — მუშებს, კოლეგებსა და ინტელიგენციას, რუსეთის სფსრ მრავალ ერსა და ეროვნებას. ორატორებმა ერთსულოვნად დაუჭირეს მხარი კონსტიტუციის პროექტს. მათ აღნიშნეს, რომ პროექტი მთლიანად შეესაბამება საბჭოთა კავშირის კონსტიტუციას, ასახავს რუსეთის ფედერაციის თავისებურებებსა და შეესაბამება მომწიფებული სოციალისტური საზოგადოების პირობებს.

სესიის დროს შეიტანეს ზოგიერთი წინადადება, რომელთა მიზანია რუსეთის ფედერაციის კონსტიტუციაში უფრო სრულად იქნეს გათვალისწინებული ჩვენი რესპუბლიკის თავისებურებანი.

რსფსრ უმაღლესი საბჭოს რიგგარეშე, მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა

□

ამის საფუძველზე სარედაქციო კომისიამ წამოაყენა წინადადება კონსტიტუციის პროექტში შეიტანონ ზოგიერთი დამატება და დაზუსტება. კომისიის თავმჯდომარემ დაახასიათა ეს ცვლილებები და წამოაყენა წინადადება მიიღონ რუსეთის ფედერაციის ახალი კონსტიტუცია.

შემდეგ დეპუტატები შეუდგნენ კონსტიტუციის მიღების პროცედურას. მათ ერთხმად მიიღეს პრეამბული, ყველა თავი და რუსეთის საბჭოთა ფედერაციული სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუცია მთლიანად.

დარბაზში ტაშმა იქუხა. დეპუტატები მხურვალედ მიესალმებიან საბჭოთა რუსეთის ძირითადი კანონის ძალაში შესვლას.

ერთხმად იღებენ რუსეთის სფსრ უმაღლესი საბჭოს დეკლარაციას რუსეთის სფსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) მიღებისა და გამოცხადების შესახებ.

დეპუტატ მ. ს. სოლომენცევის საბოლოო სიტყვის შემდეგ რუსეთის ფედერაციის უმაღლესმა საბჭომ ერთხმად მიიღო კანონი რუსეთის სფსრ კონსტიტუციის (ძირითადი კანონის) ძალაში შესვლის შესახებ.

რუსეთის სფსრ მეცხრე მოწვევის უმაღლესი საბჭოს მეშვიდე სესიამ მუშაობა დაამთავრა.

(საკდესი).

კოსმოსის დამპყრობთა დღესასწაული

საბჭოთა მეცნიერებისა და ტექნიკის უდიდესი გამარჯვებით აღინიშნა 1978 წლის გაზაფხული. „სალუტ-6“ ორბიტული სადგურის 96 დღის კოსმოსური ექსპედიცია მსოფლიო საზოგადოებრიობამ შეაფასა, როგორც კოსმონავტიკის განვითარების დიდმნიშვნელოვანი ეტაპი, რომელმაც კაცობრობას სამყაროს ათვისების, საერთაშორისო თანამშრომლობის ახალი პორიზონტები დაუსახა.

ამ შესანიშნავი მოვლენის შუქი აცისკროვნებდა კოსმოსის დამპყრობთა დღეგანდელ დღესასწაულსაც. 12 აპრილს საბჭოთა არმიის ცენტრალურ თეატრში კოსმონავტიკის დღისადმი მიძღვნილ საზეიმო კრებაზე, რომელშიც მოსკოვის მშრომელთა წარმომადგენლები და დედაქალაქის გარნიზონის მეომრები მონაწილეობდნენ, ახლახან დამთავრებული კოსმოსური ეპოპეის სამივე ეკიპაჟი მოვიდა.

პრეზიდიუმში იყვნენ სკკპ ცენტრალური კომიტეტის მდივანი ი. პ. რიაბოვი, სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს თავმჯდომარის მოადგილე ლ. ვ. სმირნოვი, სსრ კავშირის მინისტრები, თვალსაჩინო მხედართმთავრები, მეცნიერების მოღვაწენი, კოსმონავტები, პარტიული, საბჭოთა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ხელმძღვანელები.

კრება გახსნა მოსკოვის საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარის პირველმა მოადგილემ ს. მ. კოლომინმა. შეკრებილმა ამხანაგებმა დიდი აღმავლობით აღიჩიეს საპატიო პრეზიდიუმში სკკპ ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის, მეთაურობით. ისინი დიდ ინტერესს იჩენენ კონსტიტუციის პროექტისადმი, სწავლობენ და ერთმანეთს უხსნიან თავიანთ შთაბეჭდილებებს. ტრანსპორტელებმა გადაწყვიტეს, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციის წლისთავის — 7 ოქტომბრისათვის შეასრულონ წლიური დავალებები.

გ. ნოდია,
„კომუნისტის“ საკ. კორ.

მშვიდობიანი ატომი

უკანასკნელ ავტოფურგონი ჩამოვიდა ფრუნზეიდან ჩუქსის ვეღლზე. მას ორივე მხარეს აწერია: „ატომის ენერგია — სოფლის მეურნეობას“. ეს ყირგიზეთის მიწათმოქმედების სამეცნიერო-სამრეწველო გაერთიანების მოძრავი ლაბორატორია უკვე რამდენიმე წელია ეხმარება მიწათმოქმედებს უხვი მოსავლის მიღებაში.

გამა-სხივების ზემოქმედება თესლს უფრო სწრაფად აღვივებს, აჩქარებს მის განვითარებას და ზრდის საკვებ ნივთიერებებს მარცვალსა თუ ნაყოფში. როგორც გასული წლის გამოცდილებამ ცხადყო, მისი დახმარებით თითოეულ ჰექტარზე სამარცვლე სიმინდის მოსავლიანობა 6-7, შაქრის ჭარხლისა კი 50-60 ცენტნერით იზრდება. (საკდესი).

უკრაინულ ენაზე

კიევი, 11 აპრილი. (საკდესი). უკრაინის პოლიტიკურმა გამომცემლობამ უკრაინულ ენაზე გამოუშვა სკკპ ცენტრალური კომიტეტის გენერალური მდივნის, სსრ კავშირის უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის თავმჯდომარის ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის სიტყვებისა და სტატიების მეექვსე ტომი „ლენინური კურსით“. წიგნში შეტანილია ნაწარმოებები, რომლებიც მოიცავს 1976-1977 წლებს.

„პრავდის“ ფურცლებზე • 12 აპრილი

მაღალი თემის სამსახური

სულ ახლახან ჩვენმა ხალხმა საზეიმო ვითარებაში აღნიშნა სახელოვანი იუბილე — საბჭოთა შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავი, რომლებიც საიმედოდ დგანან ოქტომბრის დიადი მონაპოვრების სადარაჯოზე, აღნიშნულია მოწინავე წერილში, ამ ღირსშესანიშნავ თარიღს მიეძღვნა გამოფენები და საკონცერტო პროგრამები, მხატვრული და დოკუმენტური ლიტერატურის ახალი პუბლიკაციები, სხვადასხვა წლებში შექმნილი სამხედრო ფილმების ჩვენება, აგრეთვე კინოს და ტელევიზიის მთელი რიგი საინტერესო პრემიერები.

ლიტერატურისა და ხელოვნების ოსტატებმა მოაწყვეს თავიანთი მიღწევების ერთგვარი საბრძოლო დათვალიერება სახელოვან-პატრიოტული თემის, ჯარის წინწილებისა და ქვეგანაყოფებისადმი „კულტურული შეფობის დარგში. შემოქმედებითი კონფერენციები, თათბირები, საზოგადოებრივი განხილვა ამ საკითხებზე გაიმართა მოსკოვში, კიევში, მინსკსა და სხვა ქალაქებში. ხელოვნების სხვადასხვა ჟანრსა და სახეობაში, მხატვრული და მემოარული წიგნების ფურცლებზე. ჩვენი გმირული ისტორიის ასახვის აქტუალური პრობლემების შესახებ ბეჭდვაში აქტიურად მონაწილეობდნენ ომის ვეტერანები, სახელგანთქმული მხედართმთავრები, არმიის პოლიტმუშაკები, ფართო საზოგადოებრიობის წარმომადგენლები. ამ დღეებში კვლავ და კვლავ ახსენებდნენ ხალხის მხედრულ მატიანეს, რომელშიც ღირსეული ფურცლები ჩაწერეს კულტურის მოღვაწეებმაც.

საბჭოთა პატრიოტიზმი ქმედითი გრძნობაა. ხელოვანი, რომელსაც პატრიოტიზმი ამოძრავებს, ესწრაფვის იყოს იმათ გვერდით, ვისაც გაჰყავს ფოლადის მაგისტრალები და ამენებს ახალ ქალაქებს, ქარხნებსა და ბრამეტებს, ამრავლებს მინდვრების მარაქას. იგი მზად არის ყოველი საზოგადოებრივი ტრიბუნიდან — იქნება ეს სახალხო დეპუტატთა საბჭოს სესია, პარტსის ფურცლები, დიდი თუ მცირე ეკრანი, — როცა ეს საჭიროა, მოქალაქის მთელი მგზნებარებით ხელს საზოგადოების ცხოვრების აქტუალურ პრობლემებს.

სოციალისტური რეალიზმის ოსტატთა ქმნილებანი, რომლებიც პარტიულობისა და ხალხურობის პრინციპებს ემყარება, მოქალაქეობრიობის, სამშობლოს თავდადებული სამსახურის სკოლაა, ნათქვამია დასასრულს მოწინავეში. ფართო მასების პატრიოტული წრთობის ინტერესები იქ იმარჯვებს, სადაც პარტიული ორგანიზაციები არა მარტო უნარიანად იარაღდებიან იდეოლოგიურად ლიტერატურისა და ხელოვნების საუკეთესო ნაწარმოებებით, არამედ ეხმარებიან ხელოვანთ უფრო ღრმად ჩასწვდნენ ხალხის ცხოვრებას, იმ ძირეულ ამოცანებს, რომლებსაც ჩვენი ქვეყანა წყვეტს თანამედროვე ეტაპზე.

„პარტიის ზრუნვას საქმეებით ვუპასუხებთ!“ — ამ საერთო სათაურით გაზეთი აქვეყნებს გამოხმაურებებს ციმბირსა და შორეულ აღმოსავლეთში ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის ამასწინანდელი მოგზაურობის გამო.

მთელი მეორე გვერდი დათმობილი აქვს საკავშირო შეჯიბრების დღიურს. — **„მაღალი ხარისხი თითოეულის საზრუნავია!“**.

მესამე გვერდზე მკითხველი გაეცნობა გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის საგარეო საქმეთა მინისტრის **ო. ფიშერის** სტატიას **„ნაცადი კურსით“** (რუბრიკა — „გენიალიზება — დროის მოთხოვნით“), „პრავდის“ პოლიტიკური მიმოხილვაველის **იური ეუკოვის** წერილს — **„ცოცხლად დამარხულნი“** (რუბრიკა — „გათელილ უფლებათა საზოგადოება“).

მეოთხე გვერდზე გაეცნობით აშხაბადელი მწერლის **რახიმ ესენოვის** პუბლიცისტიკას — **„ორთა გულის კავშირი“** (რუბრიკა — „დრო, ადამიანები, მორალი“).

ПРАВДА

როცა კონსტიტუციის პროექტს ვკითხულობთ

ჩვენი საბჭოური ცხოვრება

„კომუნისტის“ მკითხველები გვწერენ სამშობლოზე, დღევანდელობაზე, თავიანთ თავზე

ეროვნული ბიბლიოთეკა

სიამაყე

ზრდისა და წინსვლის წლები

3. ი. ლენინი პირველი საბჭოთა კონსტიტუციის გაანალიზებისას აღნიშნავდა, რომ იგი შეიცავდა და შეიცავს საზოგადოების განვითარებისა და პრაქტიკული გამოცდილების დაგროვების ქვაკუთხედს. ახლა, როცა ვიხსენებთ საქართველოს სს რესპუბლიკის 1937 წლის კონსტიტუციის მოქმედების პერიოდში მოპოვებულ მიღწევებს, ერთხელ კიდევ ვრწმუნდებით დიდი ლენინის ამ სიტყვების სიბრძნეში.

განვლილი 40 წლის მანძილზე ძირფესვიანად შეიცვალა ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკა, სახალხო მეურნეობის ყველა უბანზე განუყოფლად გაბატონდა სოციალისტური საკუთრება.

ამჟამად მოქმედი კონსტიტუციის მიღებისას ჩვენში მხოლოდ სოციალიზმის საფუძვლები იყო შექმნილი. სწორედ რომ ვთქვათ, გვქონდა საწყისი სოციალიზმი. ჯერ კიდევ მოუმაგრებელი იყო საკოლმეურნეო წყობილება. ცხოვრების სხვადასხვა დარგს ნათლად ემჩნეოდა რევოლუციამდელი დროის მემკვიდრეობის გავლენა.

საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტში ასახულია განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ძირითადი ნიშნები, აღბეჭდილია ჩვენს ქვეყანაში ამ საზოგადოების აშენების ფაქტი. სწორედ უკანასკნელი 40 წლის მანძილზე შეიქმნა და წარმატებით მოქმედებს ერთიანი, მძლავრი სახალხო-სამეურნეო ორგანიზმი.

განვითარებული სოციალიზმის ერთ-ერთი ძირითადი თვისებურება ის არის, რომ ამ ეტაპზე სოციალიზმი თავის საკუთარ საფუძველზე ვითარდება. ამის გამო, ჩვენს დროში სულ უფრო ნათლად ვლინდება ახალი წყობილების აღმშენებლობითი ძალები, სოციალისტური ცხოვრების წესის უპირატესობანი, მშრომელები ფართოდ საოგებლობენ დიადი რევოლუციური მონაპოვრების ნაყოფით.

საქართველოს კონსტიტუციის პროექტის თითოეულ დებულებასა და მუხლში ყოველმხრივ არის გათვალისწინებული და ასახული ჩვენი დროის მოთხოვნები, სახოგადოებრივი ცხოვრების სხვადასხვა სფეროში მომხდარი ღრმა თვისობრივი ცვლილებები.

ამგვარ ცვლილებებს წინათ საუკუნეები სჭირდებოდა.

საქართველოს ეკონომიკა ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის ნაწილია

ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა პარტიის ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის მაისის პლენუმზე განაცხადა, რომ „ყველა ჩვენმა რესპუბლიკამ, მათ შორის იმათაც, ვინც წინათ ეკონომიკური და კულტურული თვალსაზრისით ჩამორჩენილნი, ახლა განვითარების მაღალ დონეს მიაღწია. ამავე დროს ყოველი რესპუბლიკის ეკონომიკა ერთიანი სახალხო-სამეურნეო კომპლექსის განუყოფელ ნაწილად გადაიქცა.

ამრიგად, როცა ჩვენი რესპუბლიკის განვითარების კანონზომიერებებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ საბჭოთა ეკონომიკის, როგორც ერთიანი სამეურნეო ორგანიზმის, განვითარების თავისებურებანი. ეს იმას ნიშნავს, რომ საქართველოს ეკონომიკური მდგომარეობა დამოკიდებულია არა მარტო თვით რესპუბლიკის მშრომელთა წარმატებებზე, არამედ სხვა რესპუბლიკების მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა მიღწევებზე. სამაგიეროდ საბჭოთა კავშირის ქალაქებსა და სოფლებში ფართოდ იყენებენ ჩვენი რესპუბლიკის სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციას. ასე ითქმის, მაგალითად, ზესტაფონის ფეროშენადნობთა ქარხნის პროდუქციაზე, ჭიათურის საყოველთაოდ განთქმულ მაღალხარისხოვან მანგანუმზე, რუსთავის მეტალურგიული ქარხანა გახდა ნავთობის მრეწველობისა და გეოლოგიურსადაზვერვო სამუშაოებისათვის საჭირო მილების ძირითადი მიმწოდებელი. ქვეყნის სამეურნეო განვითარებაში დიდ როლს ასრულებს ქართული ჩაი, სურნელოვანი ციტრუსები, ხილი, ყურძენი...

მოსახლეობის გამრავლება, კულტურული დაწინაურება

დღევანდელ საქართველოში ხუთ მილიონზე მეტი მცხოვრებია. რესპუბლიკის ახლანდელი მოსახლეობა მილიონ-ნახევრით მეტია, ვიდრე 1937 წელს, მაშინ ჩვენში დაახლოებით სამ მილიონ-ნახევარი კაცი ცხოვრობდა. განვლილი 40 წლის მანძილზე დიდი ცვლილებები მოხდა მოსახლეობის ტერიტორიული გადაადგილების თვალსაზრისითაც. თუ მაშინ საქართველოს ქალაქებსა და დაბებში ცხოვრობდა მოსახლეობის დაახლოებით 25 პროცენტი, ახლა ეს მაჩვენებელი 51 პროცენტს აღემატება.

დღევანდელი საქართველო, ისევე როგორც ყველა მოკავშირე და ავტონომიური რესპუბლიკა, სრული წარგნიერების რესპუბლიკაა. იგი განათლების ისეთი დონით ხასიათდება, რომელიც ყველაზე მაღალია მსოფლიოში. უფრო მეტიც, რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა და კოლმეურნეთა საერთო რაოდენობიდან, რომელთა საერთო რიცხვი ორ მილიონს აღემატება, 370 ათასამდე მოქალაქეს უმაღლესი და საშუალო სპეციალური განათლება აქვს. მათგან ნახევარზე გაცილებით მეტი უმაღლესი განათლების მაღალკვალიფიციური სპეციალისტია.

ეროვნული შემოსავლის ზრდა

თითქმის რვაჯერ გაიზარდა რესპუბლიკის ეროვნული შემოსავალი — ახლა საქართველოს მოსახლეობა მთელ საბჭოთა ხალხთან ერთად თავისი ეროვნული შემოსავლის სრულუფლებიანი ბატონპატრონია.

როცა ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპებზე ვლაპარაკობთ, მხედველობაში უნდა ვიქონიოთ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის დარგობრივ სტრუქტურაში მომხდარი ცვლილებები.

ახლა რესპუბლიკაში წარმოებული ეროვნული შემოსავლიდან, რაც ფაქტიურად მოქმედ ფასებში 6 მილიარდ 258 მილიონი მანეთით განისაზღვრება, 42 პროცენტზე მეტი მრეწველობაზე მოდის. 1940-იან წლებში ეს მაჩვენებელი 35 პროცენტზე ნაკლები იყო.

განვლილი 40 წლის მანძილზე რესპუბლიკის მშრომელებმა შესამჩნევი წარმატებები მოიპოვეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი სახეობის სამრეწველო პროდუქციის წარმოების მხრივ. დღევანდელ საქართველოს აქვს „კომეტები“, ელმავლები და ავტომობილები, პროგრამული მართვის ჩარხები, ეგრეთ წოდებული „ჭკვიანი“ მანქანები, შავი და ფერადი მეტალურგია, დიდი ქიმია, მანგანუმი, ნავთობი, ქვანახშირი, მაღალგანვითარებული სარკინიგზო და საავტომობილო ტრანსპორტი, სანაოსნო, თვეზსაქერი ფლოტები...

უკანასკნელ წლებში რესპუბლიკის სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულებამ ერთი მილიარდ 300 მილიონ მანეთს გადააჭარბა. ეს კი დაახლოებით 4-ჯერ აღემატება 1940-იანი წლების დონეს.

საბჭოთა საქართველო კაპიტალური მშენებლობის უზარმაზარი მასშტაბის რესპუბლიკად გადაიქცა. სწორედ მოქმედი კონსტიტუციის პერიოდში შეიქმნა მძლავრი სამშენებლო ინდუსტრია, რომელიც ეყრდნობა მოწინავე ტექნიკასა და მუდმივ სამშენებლო კადრებს.

1977 წელს ჩვენი რესპუბლიკის კაპიტალური დაბანდების საერთო მოცულობამ მილიარდ 560 მილიონ მანეთს მიაღწია და 1937 წლის დონეს 15-ჯერ და მეტად გადააჭარბა.

ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესება

ეროვნული შემოსავლის ზრდა განსაზღვრავს სახალხო მეურნეობის ეკონომიკურ პოტენციალს, რაც, თავის მხრივ, უშუალოდ განაპირობებს ხალხის კეთილდღეობის გაუმჯობესებას, ცხოვრების დონის განუხრელ აღმავლობას.

საქართველოს მშრომელები, ისევე როგორც ყველა საბჭოთა ადამიანი, დღეს უკეთ ცხოვრობენ, ვიდრე ოდესმე. და ამის დასტურს იძლევა სათანადო სტატისტიკა.

ეს რომ ასეა, კარგად ჩანს ჩვენი რესპუბლიკის მაგალითიდან. ახლა სახალხო მეურნეობაში დასაქმებულ მუშა-მოსამსახურეთა საშუალო თვიური ხელფასი 131 მანეთს აღემატება, მაშინ როცა 40 წლის წინათ სულ 32 მანეთით ძლივს განისაზღვრებოდა.

სისტემატურად იზრდება სოფლის მშრომელთა ცხოვრების დონე. მარტო კოლმეურნეთა საშუალო-თვიური ხელფასი 90 მანეთამდე და უფრო მეტად გაიზარდა.

ახლა რესპუბლიკის ყველა ადამიანი თავისი შემოსავლის ხარჯზე ცხოვრობს. არ არსებობს პრივილეგიები, და ყველასათვის უმთავრეს სოციალურ მომსახურეობას — მკურნალობას, სწავლას, პენსიას, დახმარებას და ა. შ. — მთლიანად უზრუნველყოფს სახელმწიფო. ყოველ ოჯახს მისი შემოსავლის დონის მიუხედავად შესაძლებლობა აქვს ისარგებლოს კეთილმოწყობილი საცხოვრებლით. იგი ეძლევათ უფასოდ, ხოლო მისი გადასახადი ნამდვილად სიმბოლურია, კომუნალურ გადასახადთან ერთად საშუალო მუშური ოჯახის ბიუჯეტის დაახლოებით 3 პროცენტს შეადგენს.

შეუნელებელი უურადღება ექცევა რესპუბლიკის მოსახლეობის ჯანმრთელობის დაცვას. ახლა ყოველ 10 ათას კაცზე გაანგარიშებით საქართველოში 40 ექიმი მოდის (კავშირში 32), მაშინ როცა ანალოგიური მაჩვენებელი 1940-იან წლებში 8 ერთეულს არ აღემატებოდა.

დღეს საქართველოს მშრომელთა მთელი ძალები ხმარდება იმას, რომ კიდევ უფრო გაზარდონ რესპუბლიკის წვლილი საერთო-საკავშირო დოვლათში, ახალ საფეხურზე აიყვანონ ჩვენი დიადი სამშობლოს ეკონომიკური ძლიერება და უზრუნველყონ მისი კულტურული აყვავება.

კ. ელიზბარაშვილი,
დოცენტი, ეკონომიკის მეცნიერებათა კანდიდატი.

პოეტური რვეულიდან

ჩვენი პარტია

პარტიის სიტყვა —
შუქის მფენია,
შრომაში ღვივის
ძალა მისნური
და ხალხის წინსვლის
ხელმძღვანელია
ჩვენი პარტია
კომუნისტური.

პარტია
ბრძოლის გმირულ ხაზზეა —
ზღვაზე, კოსმოსში,
მთაში თუ ბარად,
იგი ყოველთვის
წინა რაზმია,
მისი ალამი
ლაღია მარად.

დღეს მშვიდობიან
შრომის ფერხულში
წინ ისწრაფვიან
კომუნისტები —
ქარხნის გუგუნში,
ბაღში თუ ხნულში
დიად მომავლის
დროებამს მივსწვდებით.

გამოვიარეთ
სამოცი წელი,
საუკუნეებს
გაუსწრეს წლებმა,
ჩვენ შრომით ვძლიეთ,
რაც იყო ძნელი,
ღიმილით გვხვდება
ჩვენ გამარჯვება.

შრომის გუგუნში
ხალხს შეუგრძვნია,
მდიდარ ბუნებას
რაც მოუცია...
ხარობს
ქართული კონსტიტუცია
და მთელი ქვეყნის
კონსტიტუცია.

პარტია
ყველა ვახტზეა ფხიზლად,
ხუთწლედის შუქი
ყველგან ელვარებს
და არ ასცდება
დასახულ მიზანს
კომუნისტების
სწრაფვა მღელვარე.

პარტიის სიტყვა — შუქის
მფენია,
შრომაში ღვივის
ძალა მისნური
და ხალხის წინსვლის
ხელმძღვანელია
ჩვენი პარტია
კომუნისტური.

ვასილ ლაფერაშვილი.

პროპაგანდისტის ტრიბუნა

სიტყვის ძალა

უოველი ღირსსახსოვარი მოვლენა, რომელიც ჩვენი სამშობლოს ისტორიაში ხდება, ჩვენი საუბრის თემაა, და ადიგენის რაიონის ჩორჩანის ლენინის სახელობის კოლმეურნეობის სოფელ პატარა სმადის საუნგნო პარტიულ ორგანიზაციასთან არსებული პოლიტსკოლის მსმენელები ამ მოვლენებისადმი ყოველთვის უდიდეს ინტერესს იჩენენ. ეს გასაგებიც არის, ყოველ ახალ დოკუმენტს, საბჭოთა ეროვნული პოლიტიკის გამარჯვებას რომ ადასტურებს, სულ უფრო მეტი ქეთილდღეობა მოაქვს შშრომელებისათვის.

ამიტომაც იყო, რომ განსაკუთრებული ენთუზიაზმით შევიკრიბეთ საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტის გასაცნობად. მართალია, ეს შეკრება თავიდანვე მეცადინეობის აქტივში არ ჩაგვთვლია, მაგრამ პოლიტსკოლის მსმენელებმა ტექსტის წაკითხვის შემდეგ იმდენი კითხვები მომიკეს, რომ შეკრება ალბათ ყველაზე ნაყოფიერ მეცადინეობაზე უკეთესი გამოვიდა.

იმ დღეს ჩვენ დავთქვით, რომ გაცნობის შემდეგ მოვემზადებოდით და ვრცელ საუბარს მივუძღვნიდით საქართველოს სსრ კონსტიტუციის პროექტს. მსმენელებმა სურვილი გამოთქვეს დაეშუშავებინათ კონსტიტუციის ციალეული თავები და კონკრეტული მაგალითებით ესაუბრათ.

ასეც მოხდა, ჩვენ სამი დღის შემდეგ შევიკრიბეთ. ვატყობდი, რომ მსმენელები მზად იყვნენ სასაუბროდ, ამიტომ მთავარი ყურადღება კონსტიტუციის საკანონმდებლებულებებს, მის ძირითად მოთხოვნებს დავუთმე და მთელი რიგი კონკრეტული მაგალითები გამოვიყენე, დავასახელე ალექსი ჭიღლაძე, ზურაბ ჭოტაძე და სხვა მსმენელები, რომლებიც ყოველდღიურად იცავენ კონსტიტუციის მოთხოვნებს, სანიმუშოდ შრომობენ და დიდი წვლილი შეაქვთ კოლმეურნეობის წინსვლაში. მსმენელთა სახეზე სიამაყე ამობეჭდა, როცა მათი ეს თავდადება მეურნეობის საერთო დიდი წარმატების საფინდრად მიგიჩნიე.

პირველი სატყვა მსმენელმა ნ. ფოფხაძემ ითხოვა. მან ისაუბრა კონსტიტუციის პროექტის ამ დებულების შესახებ, რომელიც სახელმწიფოს მზრდელ მოქალაქეთა მიერ თავიანთი შემოქმედებითი ძალების, უნარისა და ნიჭის გამოყენებისათვის, პიროვნების ყოველმხრივი განვითარებისათვის ვის რეალური შესაძლებლობების გაფართოებას ისახავს მიზნად. მსმენელმა შესანიშნავად ჩამოაყალიბა ეს დებულება და აღნიშნა, რომ მონიშებული უფლებებიდ სრული გამოყენება, უთუოდ, დიდ სარგებლობას მოუტანდა კოლექტივს.

მსმენელმა ნ. ლაკლაკიშვილმა ყურადღება დაუთმო კონსტიტუციის პორექტის 21-ე მუხლს: „სახელმწიფო ზრუნავს შრომის პირობების გაუმჯობესებისა და დაცვისათვის, მისი მეცნიერული ორგანიზაციისათვის, მძიმე ფიზიკური შრომის შემცირებისა, მეცადინეობდ დავარწმუნდი, რომ, თუ მსმენელებს უშუალო, გულადიდი საუბარს გავუმართავ, თავიანთი აზრის თავისუფლად გამოთქმის ატმოსფეროს შეუქმნი, მეცადინეობა უთუოდ ეფექტიანი იქნება. მაგრამ უნდა შეგეძლოს, რომ შესავალ სიტყვაში სწორად წარმართო მეცადინეობა, ხოლო შემდგომ დროდადრო დაეუბმარო მსმენელებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ საკითხებს. მართალი გითხრათ, ამჯერად ეს არ დამჭირვებია. საუბრის თემა ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი იყო, ჩვენი შშრომელი ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის ზრუნვით აღსავსე, ნათელი მომავლის დიდი იდეებით გასხივოსნებული დოკუმენტი. ამიტომ ადამიანთა გულისხმიერი ისეთივე უშუალო, სინტერესო და მტკიცე იყო, როგორც ახალი კონსტიტუციის პროექტია, და მეც სიამოვნებით ვუსმენდი, თანაც ვფიქრობდი: რაოდენი სიკეთეა ჩვენ ამ დიდი მოვლენისადმი ჩვენი პოლიტსკოლის მეცადინეობამ — მეცხოვრეობა ამ ფორმებში ინერგება მექანიზაცია, სულ უფრო მეტი რაოდენობით იღებენ სასოფლო-სამეურნეო ტექნიკას, მანქანა-იარაღებს. სწორედ ამის შედეგია, რომ კოლმეურნეობის ეკონომიკა ღიმღიდან ღიმღიდის ბრწყინავს.

მე ეს ბანაკი ბანაკ პროპაგანდისტად ვმუშაობ. ამიტომ ჩემი გამოცდილებით დავარწმუნდი, რომ, თუ მსმენელებს უშუალო, გულადიდი საუბარს გავუმართავ, თავიანთი აზრის თავისუფლად გამოთქმის ატმოსფეროს შეუქმნი, მეცადინეობა უთუოდ ეფექტიანი იქნება. მაგრამ უნდა შეგეძლოს, რომ შესავალ სიტყვაში სწორად წარმართო მეცადინეობა, ხოლო შემდგომ დროდადრო დაეხმარო მსმენელებს უფრო ღრმად ჩასწვდნენ საკითხებს. მართალი გითხრათ, ამჯერად ეს არ დამჭირვებია. საუბრის თემა ჩვენი ცხოვრების ძირითადი კანონი იყო, ჩვენი შშრომელი ადამიანის უკეთესი ცხოვრებისათვის ზრუნვით აღსავსე, ნათელი მომავლის დიდი იდეებით გასხივოსნებული დოკუმენტი. ამიტომ ადამიანთა გულისხმიერი ისეთივე უშუალო, სინტერესო და მტკიცე იყო, როგორც ახალი კონსტიტუციის პროექტია, და მეც სიამოვნებით ვუსმენდი, თანაც ვფიქრობდი: რაოდენი სიკეთეა ჩვენ ამ დიდი მოვლენისადმი ჩვენი პოლიტსკოლის მეცადინეობამ — ეს ბანაკი რაოდენობა მსმენელებმა ერგებ ახალი ძალა და ენერგია შემატა მათ ამ საუბარმა... და ყველგან ისეა, ისე გულისხმიერი ეგებებიან ჩვენი შშრომელები მეათე ხუთწლედის მესამე დამკვრელური წლის გაზაფხულს და საფუძველს უყრიან ეხვ მოსავალს.

რ. დიდიმამიშვილი,
პროპაგანდისტი,
სოფელი პატარა სმადა,
ადიგენის რაიონი.

მარად ხალხის სამსახურში...

საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის კონსტიტუციის პროექტში, მის მე-6 მუხლში ვკითხულობთ: „საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტია ხალხისათვის არსებობს და ხალხს ემსახურება“.

კონსტიტუციით დაკანონებული ეს დებულება ენთუზიზმენ ზნეობრივ მოვალეობას აკისრებს პარტიის წევრს. ამიტომაც იგი უნდა იცოდეს ყოველმა კომუნისტმა და ხელმძღვანელობდეს ამით თავის შრომაში, მოღვაწეობასა და ყოფა-ცხოვრებაში.

რაკი პარტია ხალხისათვის არსებობს, პარტიის ყოველ წევრს უნდა ახსოვდეს, რომ იგი თავის სამოქმედო ობიექტზე ხალხის მეგნიერების შემოქმედი და მჭიდროა. ხალხმა თავისი გამოცდილებით ერთგულ იცის, რომ ამ ორგანიზაციაში. სადაც პარტიული მუშაობა კარგ, ჯანსაღ ფეხზე დგას, მეურნეობაც მშვენივრად არის აწყობილი.

მე ბევრი ჯერ ვარ და ერთხელ ვყოფილვარ მოწმე, რომ ზოგიერ ადგილებში ეს ასეა. ეს ასეა ... ეს ... ეს ... ეს

მეცნიერება — ცხოვრებას!

რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის საერთო კრება

საბჭოთა ხალხის სასახელო საქმეების თანამონაწილეობის, სკკპ XXV ყრილობის, სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმის გადწყვეტილებათა განხორციელებისათვის დიდი პასუხისმგებლობის გრძნობით განიხილეს ქართველმა მეცნიერებმა თავიანთი საარსებო ამოცანები და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი.

საერთო წლიური კრება შესავალი სიტყვით გახსნა რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდენტმა ე. ხარაძემ.

— ჩვენ, თქვა მან, — შევიკრიბეთ ღირსშესანიშნავ დროს. ჩვენი დიადი სამშობლოს ახალი კონსტიტუციის პროექტის საყოველთაო-სახალხო განხილვის შემდეგ, რომელშიც განმტკიცებულია განვითარებული სოციალიზმის მიღწევები ჩვენს ქვეყანაში, გამოქვეყნდა საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი. ქართველი მეცნიერები, რესპუბლიკის ყველა მშრომელებთან ერთად, მხურვალედ იწონებენ ამ დიად ქარტიას, რომელშიც ღრმად, მეცნიერულად აისახა ის გრანდიოზული ძვრები, რომლებიც ქართველი ხალხის ცხოვრებაში მოხდა საბჭოთა ხალხების ძმურ ოჯახში. მისი ყოველი სტრიქონი, ყოველი მუხლი გამსჭვალულია ადამიანებზე დიდი ზრუნვით, იგი დიდ უფლებებს ანიჭებს ჩვენი რესპუბლიკის მოქალაქეებს და ამავე დროს თითოეულ ჩვენგანს აკისრებს დიდ მოვალეობებს საბჭოთა სამშობლოს, საბჭოთა ხალხის წინაშე.

ქართველ მეცნიერებს მუდამ თავიანთ უპირველეს მოვალეობად მიაჩნდათ ხალხის სამსახური. და როცა პარტიამ პირველ პლანზე დააყენა მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარების, წარმოებასთან მეცნიერების უფრო მჭიდროდ დაახლოების საკითხი, ქართველი მეცნიერები გაორკეცებული ენერგიით შეუდგნენ მუშაობას.

ამასთან ე. ხარაძემ დაასახელა მთელი რიგი საკითხები, რომლებიც უნდა გადაჭრას რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმმა. კერძოდ, აღნიშნა მან, ყოველნაირად უნდა განვამტკიცოთ შრომისა და საწარმოო დისციპლინა, ყოველნაირად ავამაღლოთ მომთხოვნელობა სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1977 წლის დეკემბრის პლენუმისა და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის VIII პლენუმის გადწყვეტილებათა შესაბამისად.

ე. ხარაძემ ქართველ მეცნიერთა სახელით აღუთქვა პარტიასა და მთავრობას, რომ ისინი კვლავაც ძალ-ღონის დაუზოგავად იბრძოლებენ იმისათვის, რომ იყვნენ თანამედროვე მოთხოვნათა დონეზე, სულითა და გულით ემსახურონ თავიანთ ხალხს.

შემდეგ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წლიური საერთო კრების მონაწილეებმა მოისმინეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის დირექტორის, საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის გ. მელიქიშვილის მოხსენება „განვითარებული სოციალისტური საზოგადოების მშენებლობა საქართველოში და საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი“.

კრების მონაწილეებმა ინტერესით მოისმინეს გ. წერეთლის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის დირექტორის, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის თ. გამყრელიძის მოხსენება „ქველქართული დამწერლობის წარმოშობის პრობლემა“.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის 1977 წლის საქმიანობის შესახებ კრებაზე საანგარიშო მოხსენება გააკეთა ნ. ლანდიამ.

მოხსენების გამო გამართულ კამათში მონაწილეობა მიიღეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის განყოფილებების აკადემიკოსმა-მდივნებმა ლ. გაბუნიამ, ა. ფრანგიშვილმა, გ. ცაცანაშვილმა, შ. ძიძიგურმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსებმა გ. ჭოღოშვილმა, ბ. ბალავაძემ, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტებმა თ. ონიანმა, ვ. გომელაურმა, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მართვის სისტემების ინსტიტუტის დირექტორმა გ. ხარატიშვილმა.

შემდეგ დაამტკიცეს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებათა დირექტორები.

მომხსენებელმა და კამათში გამოსულებმა აღნიშნეს, რომ წარმოებასთან მეცნიერების კავშირის იმ პროგრესული ფორმების გამოყენების მიზნით, რომლებიც საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის ცენტრალურმა კომიტეტმა მოიწონა უკრაინის სს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიისა და სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ციმბირის განყოფილების მუშაობის შეფასების დროს, რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის სამეცნიერო დაწესებულებებმა დაიწყეს მთელი რიგი კომპლექსური პრობლემების წარმატებით დამუშავება. ეს პრობლემებია, უწინარეს ყოვლისა, კოლხეთის ჭაობების დაშრობა და მისი მიწების სასოფლო-სამეურნეო სავარგულებად გამოყენება, რესპუბლიკის საკურორტო რესურსების ეფექტიანად გამოყენების ღონისძიებათა შემუშავება, მანქანათმშენებელ, სამთამადნო მრეწველობაში და რესპუბლიკის სასთბურე მეურნეობებში შრომის სანიტარულ-ჰიგიენური პირობების უზრუნველყოფისა და პროფდაავადებებთან ბრძოლის, სეტყვისაგან ცოტრუსების, ვენახებისა და ხეხილის ბაღების დაცვის მეთოდებისა და საშუალებების შემუშავება და დანერგვა, მლაშობების სოფლის მეურნეობის საჭიროებებისათვის გამოყენება. დიდი ეფექტია მოსალოდნელი ისეთი გამოკვლევებისაგან, როგორიც არის ჭიათურის მანგანუმის მაღნის საბადოების ძიება და დამუშავება, ქართული ნავთობის ფიზიკურ-ქიმიურ თვისებათა გამოკვლევა, მრეწველობაში ცეოლითის გამოყენება და სხვ.

სულ 1977 წელს რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის ინსტიტუტებმა სახალხო მეურნეობისათვის დაამუშავეს 207 პრობლემა, რომლებიც გაერთიანებულია 750 სამეცნიერო თემაში, ბევრი მათგანი უკვე დაინერგა ან ინერგება წარმოებაში. განსაკუთრებით ნაყოფიერი აღმოჩნდა სამთო მექანიკისა და მეტალურგიის ინსტიტუტის ნაშრომები, რომლებმაც მეცნიერული შრომისათვის დახარჯულ ყოველ მანეთზე უკუგებამ სამ მანეთს მიაღწია.

სულ 1977 წელს მეცნიერებათა აკადემიის დაწესებულებებში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომების დანერგვისაგან მიღებულმა ეკონომიკურმა ეფექტმა 25,6 მილიონი მანეთი შეადგინა.

საანგარიშო პერიოდში აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებამ და მის შემადგენლობაში შემავალმა დაწესებულებებმა დიდი მუშაობა გასწიეს. მათ განსაკუთრებული ყურადღება დაუთმეს დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის მე-60 წლისთავისადმი, სსრ კავშირის ახალი კონსტიტუციისადმი საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტისადმი მიძღვნილ სამეცნიერო კვლევას.

საზოგადოებრივ მეცნიერებათა დარგში კვლევითი მუშაობის მთავარი მიმართულება იყო კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკის, საქართველოს ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული განვითარების ძირითადი კანონზომიერებების შესწავლა და თეორიული განზოგადება, რესპუბლიკის სამეურნეო მშენებლობაში მუშათა კლასის როლის, ნაგატიურ მოვლენებთან და წარსულის გადმონაშთებთან ბრძოლაში საზოგადოებრიობის როლის ამაღლება.

კრებაზე აღინიშნა ის ნაკლოვანებანი, რომლებიც ჯერ კიდევ გვხვდება მეცნიერთა მუშაობაში, კერძოდ, ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული დიდი საკოორდინაციო საბჭოს მუშაობა, მთელ რიგ ინსტიტუტებში არ არის სათანადო დონეზე შრომითი და ფინანსური დისციპლინა, კერძოდ, კიბერნეტიკის ინსტიტუტში, მცირეა ქართველ მეცნიერთა განცხადები მეცნიერულ აღმოჩენებზე.

საერთო კრების მონაწილეებმა მიიღეს დადგენილება, რომელშიც ერთსულოვნად მოიწონეს საქართველოს სსრ ახალი კონსტიტუციის პროექტი, დასახეს კომუნისტურ მშენებლობაში, წარმოების განვითარების მეცნიერული უზრუნველყოფის საქმეში აქტიური მონაწილეობის კონკრეტული გზები.

საერთო კრებაზე საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოს-მდივანი ნ. ლანდიამ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის პ. მელიქიშვილის სახელობის პრემია გადასცა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსს რ. აგლაძეს, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატებს მ. გძელიშვილს, მ. ჰოფმანს, მ. დომანსკაია-ბერიაშვილს, რომლებსაც ეს მაღალი ჯილდო მიენიჭათ ნაშრომების ციკლისათვის „მანგანუმისა და მანგანუმის მეანგავების მიღება“.

მან შეკრებილთ აცნობა აგრეთვე, რომ საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭომ რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის შუამდგომლობის საფუძველზე მიიღო დადგენილება, რომ დაწესდეს მედლები და პრემიები უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისა და ახალგაზრდა მეცნიერთა საუკეთესო მეცნიერული ნაშრომებისათვის.

პრემიას ყოველწლიურად მიაენიჭებს მეცნიერებათა აკადემიის პრეზიდიუმი.

ეს სპეციალური ჯილდო 1977 წელს შესრულებული მეცნიერული შრომებისათვის პირველად მიენიჭათ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მეზუთე კურსის სტუდენტს ნ. ჩიქოვანს, საქართველოს ვ. ი. ლენინის სახელობის პოლიტექნიკური ინსტიტუტის კურსდამთავრებულს ნ. ბაღათურიას და რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის მეტალურგიის ინსტიტუტის უმცროს მეცნიერ თანამშრომელს ნ. თოფურიძეს. მათ გადაეცათ აგრეთვე ჯილდოები.

კრების მუშაობაში მონაწილეობდნენ საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მდივანი ვ. სირაძე და საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის მეცნიერებისა და საწყაულებების განყოფილების გამგე ე. სეხნიაშვილი.

(საქინფორმი).

ხორცისა და რძის დამზადებას — უპირველესი ყურადღება

ხორცის, რძის, კვერცხის წარმოებისა და დამზადების მუდმივი ზრდა სოფლის მშრომელთა განსაკუთრებული საზრუნავია. სწორედ ამას უნდა დაუთმონ ძირითადი ყურადღება პარტიულმა, საბჭოთა და სოფლის მეურნეობის მუშაკებმა, მოთავეობენ ყველა რგოლის მწყობრი მუშაობა მეცხოველეობაში. ამას მოგვიწოდებს საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის წერილი რესპუბლიკის ყველა მშრომელისადმი მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების გადიდების შესახებ.

მაგრამ ხუთწლედის მესამე წლის სტარტზე რესპუბლიკის მეცხოველეებმა დაუშვეს სერიოზული ჩამორჩენა მეცხოველეობის პროდუქტების დამზადებისა და წარმოების საქმეში. ეს ამის შედეგია, რომ ადგილებზე შენელდა ორგანიზატორული მუშაობა, სათანადო კონტროლს არ უწევენ დირექტიული ორგანოების გადაწყვეტილებათა შესრულებას, მთელ რიგ მეურნეობებში არ ჰქონდათ გამოზამთრებისათვის საკვების საჭირო მარაგი. ჩამორჩენილი რაიონების, კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ხელმძღვანელებმა უნდა განხორციელონ გადაუდებელი ღონისძიებები, რათა ანაზღაურონ გაცდენილი, დაძლიონ ჩამორჩენა სოფლის მეურნეობის ისეთ დიდმნიშვნელოვან დარგში, როგორიც მეცხოველეობაა.

უკვე გავიდა მიმდინარე წლის პირველი სამი თვე. როგორ დაამთავრეს იგი რესპუბლიკის მეცხოველეებმა?

მთლიანად რესპუბლიკაში ხორცის დამზადების ტემპი კვლავინდებურად ჩამორჩება გასული წლის მაჩვენებლებს. სამტრედიის, ლაგოდეხის, კასპის, ახალქალაქის, ონის, ახალციხის, მახარაძის, ორჯონიკიძის, გორის, ბოგდანოვკის, წულუკიძისა და ზოგიერთი სხვა რაიონის მეურნეობებმა თავი ვერ გაართვეს ხორცის დამზადების კვარტალურ დავალებას. 55 რაიონიდან პირველი კვარტალის გეგმა ვერ შეასრულა 24 რაიონმა, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკამ, აჭარის ასს რესპუბლიკამ და სამხრეთ ოსეთის ავტონომიურმა ოლქმა. კვარტალი კარგი მაჩვენებლებით დაამთავრეს თეთრი წყაროს, წითელწყაროს, ყვარლის, დმანისის, ყაზბეგის, ცაგერის, ლენტეხისა და მთელი რიგი სხვა რაიონების მეურნეობებმა.

შარშანდელთან შედარებით გაიზარდა მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის საშუალო წონა. პირუტყვის საშუალო წონა შეამცირეს ასპინძის, ხაშურის, ქარელის, ბორჯომის, საგარეჯოს, წითელწყაროს, თელავის, ყვარლის, მცხეთის, დუშეთის, თიანეთის, ონის, ლენტეხის, გეგეჭკორის, მესტიის, რაიონების კოლმეურნეობებმა და საბჭოთა მეურნეობებმა, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკის და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის მეურნეობებმა.

შეშფოთებას იწვევს რძის დამზადების ტემპის შემცირების ერთგვარი ტენდენცია, რომელიც რესპუბლიკაში არ შეიმჩნეოდა უკანასკნელი ხუთი წლის მანძილზე. რძის დამზადების კვარტალური გეგმა შესრულდა 97 პროცენტით. პირველ ხარისხად ჩაბარებულია რძის 64,5 პროცენტი. რძის დამზადებაში ჩამორჩნენ 16 რაიონი, აგრეთვე აფხაზეთის ასს რესპუბლიკა და სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქი. (საქინფორმი).

ხორცისა და რძის დამზადება რაიონების, ავტონომიური რესპუბლიკებისა და ოლქის მიხედვით 1978 წლის 1 კვარტალისათვის

	პირუტყვი და ფრინველი			საშუალო ჩასაბარებელი წონა კგ-ში		რძე			1 ხარისხად ჩაბარებულია რძე პროც.	
	ფაქტ. 1978 წ. ტონობით	საერთო შესრულ. პროც.	1977 წ. შედარებით შეს. პროც.	1978 წ.	1977 წ.	ფაქტ. 1978 წ. ტონობით	საერთო მოგ. პროც.	შესრ. 1977 წ. შედარ.	1978 წ.	1977 წ.
ახალქალაქის	869	69	78	303	288	2572	100	105	37,6	69,2
ბოგდანოვკის	644	85	102	302	286	2650	90	102	59,6	48,4
ახალციხის	380	71	82	272	258	1038	100,2	108	90,0	74,5
ადიგენის	351	94	95	248	230	662	100,3	103	85,0	55,7
ასპინძის	163	100,6	102	233	238	420	97	130	82,4	82,1
ხაშურის	294	90	89	228	253	776	100,5	101	83,4	78,8
ქარელის	407	107	103	218	226	619	100,6	106	64,7	52,8
გორის	691	77	84	295	282	1693	85	91	78,5	53,0
კასპის	335	68	71	249	246	664	103	103	67,0	89,9
ბორჯომის	358	85	88	243	250	653	84	94	94,0	93,5
საგარეჯოს	931	110	93	254	274	769	92	101	35,5	31,1
გურჯაანის	629	100,3	100,6	307	293	940	80	84	75,6	73,8
სიღნაღის	774	95	92	293	285	1589	96	100,3	63,4	69,3
წითელწყაროს	1025	102	108	305	315	3067	93	98	56,9	50,9
თელავის	302	90	111	270	295	749	100,5	100,2	67,6	71,3
ახმეტის	470	104	122	266	258	908	83	81	62,5	55,1
ყვარლის	440	108	138	261	278	496	77	88	57,8	76,7
ლაგოდეხის	235	56	69	263	266	948	100	111	82,9	96,0
გარდაბნის	1743	113	81	284	285	2681	102	111	43,4	64,4
მცხეთის	344	100	109	277	285	801	100,1	94	67,4	78,3
მარნეულის	651	105	104	287	297	1413	109	116	44,6	46,5
ბოლნისის	464	105	110	297	292	721	100,9	105	60,4	47,4
წალკის	819	107	110	265	249	1848	104	104	84,9	74,5
დუშეთის	248	73	136	188	213	866	101	98	62,6	62,9
თეთრი წყაროს	683	130	73	277	252	1554	100,9	100,1	39,6	49,5
დმანისის	579	112	111	291	278	1612	93	102	27,8	38,4
თიანეთის	317	92	108	182	222	585	94	96	60,2	69,5
ყაზბეგის	34	126	—	—	—	—	—	—	—	—
სამხრეთ ოსეთის ა/ო	610	93	85	199	202	2266	96	96	11,6	37,0
ქ. წყალტუბო	600	104	109	232	201	919	107	110	93,6	75,0
სამტრედიის	326	44	56	279	204	657	95	97	96,5	88,7
წულუკიძის	214	80	78	238	241	289	78	86	96,5	96,5
ვანის	343	101	105	248	203	485	101	103	83,3	91,0
მაიაკოვსკის	83	106	93	190	171	401	104	100,2	81,7	95,6
ზესტაფონის	220	93	103	228	202	288	105	102	74,5	65,0
თერჯოლის	310	95	102	206	208	441	104	104	97,6	99,5
ქ. ჭიათურა	214	102	93	210	187	370	101	102	91,2	90,0
საჩხერის	309	104	105	239	200	506	102	100,8	89,5	90,2
ორჯონიკიძის	123	73	73	207	204	242	89	89	—	—
ქ. ტყიბული	278	89	104	214	188	346	102	76	84,3	21,4
ონის	109	65	72	203	228	344	125	126	52,5	41,9
ამბროლაურის	205	106	96	209	210	217	111	102	64,4	21,4
ცაგერის	111	185	90	213	215	127	102	94	—	—
ლენტეხის	60	125	111	152	220	128	142	135	—	—
აბაშის	431	102	121	243	242	513	102	105	84,9	81,7
ცხაკაიის	525	92	92	281	249	381	98	101	88,6	80,0
გეგეჭკორის	400	93	118	213	243	397	100	98	79,4	92,5
ზუგდიდის	681	102	126	296	293	911	105	107	79,5	72,8
ხობის	553	126	117	235	228	551	133	143	75,3	65,2
წალენჯიხის	256	100,3	92	296	264	330	100	104	76,9	67,5
ჩხოროწყუს	288	119	112	246	238	394	106	104	72,3	85,6
მახარაძის	461	107	106	297	260	761	103	102	84,3	87,4
ლანჩხუთის	342	89	94	245	232	491	73	85	87,5	90,0
ჩოხატაურის	227	101	121	318	181	321	110	104	95,4	90,4
მესტიის	98	101	94	288	305	196	123	134	—	—
ქ. ფოთი	30	50	52	—	—	—	—	—	100,0	100,0
აფხაზეთის ასსრ	2048	93	106	203	240	2111	86	89	87,6	87,0
აჭარის ასსრ	607	92	98	202	190	1917	108	108	81,3	70,7
სულ საქართველოს სს რესპუბლიკაში	26242	94	96	258	247	50596	97	100,7	64,5	63,8

დაჯილდოება

საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის ბრძანებულებით პარტიულ ორგანოებში ხანგრძლივი და ნაყოფიერი შუამავლობისათვის, დაბადების ორმოცდაათ წელთან დაკავშირებით, საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტის პროპაგანდისა და აგიტაციის განყოფილების გამგის მოადგილე ამბ. ზელიმხან ბესარიონის ძე მებუნეიშვილი დაჯილდოდა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს პრეზიდიუმის სამადლო სიგელით.

გაეცანი

ს. ვენსის გამოსვლა

ვაშინგტონი, 11 აპრილი (საკდესი). ამერიკის შეერთებული შტატების სახელმწიფო მდივანი ს. ვენსი გამოვიდა ამერიკის გაზეთების რედაქტორთა საზოგადოების კონფერენციაზე და გააშუქა ადმინისტრაციის პოლიტიკა შეიარაღებისადმი კონტროლის დარგში.

ვენსმა აღნიშნა გამალებული შეიარაღების დამღუპველობა, იმის საჭიროება, რომ რაც შეიძლება მალე მიღწეულ იქნეს საბჭოთა კავშირთან ახალი გრძელვადიანი შეთანხმება სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, აგრეთვე დიდი მნიშვნელობა სხვა ურთიერთნაბიჯებისა განიარაღების დარგში.

სახელმწიფო მდივანმა განაცხადა, კერძოდ, რომ გამალებული შეიარაღება მძიმე ტვირთად აწვება ქვეყნებს, ნთქავს შეზღუდულ რესურსებსა და ენერგიას, რომლებიც საჭიროა სოციალური და ეკონომიკური პრობლემების გადაჭრისათვის.

სსრ კავშირი და ამერიკის შეერთებული შტატები, რომლებსაც უდიდესი ძლიერება გააჩნიათ, დაინტერესებული არიან ომის საშიშროების შემცირებით. „თუ შეთანხმება არ დაიდო, ამან შეიძლება ორივე მხარე აიძულოს შეუდგნენ იარაღის შექმნის ახალი პროგრამის განხორციელებას, რაც შესაბამისად გაადიდებს ხარჯებს რამდენიმე მილიარდი დოლარით წელიწადში, მაგრამ ამასთან მათი უშიშროება არ გახდება უფრო საიმედო“, ხაზი გაუსვა ვენსმა.

სახელმწიფო მდივანმა თავისი შეფასება მისცა სტრატეგიული შეტევითი შეიარაღების შეზღუდვის შესახებ საბჭოთა კავშირ-ამერიკის მოლაპარაკებას, რომელზეც, მისი სიტყვით, ამ უკანასკნელ წელს მიღწეულ იქნა მნიშვნელოვანი პროგრესი. მიუხედავად ამისა, აღნიშნა მან, „დიდმნიშვნელოვანი უთანხმებანი ჯერ კიდევ ძალაში რჩება“. შეეხო რა აპრილში გათვალისწინებულ თავის მომავალ ვიზიტს სსრ კავშირში, ვენსმა განაცხადა, რომ მოსკოვის მოლაპარაკებაზე შეეცდებიან შეამცირონ არსებული უთანხმებანი. „იმედი მაქვს, რომ ჩვენ შევძლებთ უახლოეს მომავალში მივაღწიოთ შეთანხმებას. ჩვენ მოლაპარაკებას ვაწარმოებთ იმდენ ხანს, რამდენიც საჭირო იქნება იმისათვის, რომ მივაღწიოთ შეთანხმებას სტრატეგიული შეიარაღების შეზღუდვის შესახებ, რომელიც განამტკიცებს ჩვენს უშიშროებას და ჩვენი მოკავშირეების უშიშროებას“, — თქვა ს. ვენსმა.

კვლავ დაძაბულობაა

ბეირუთი, 11 აპრილი. (საკდესი). იმის შედეგად, რომ გრძელდება ისრაელის აგრესიტორის მიერ პროვოკაციულად გამოწვეული შეიარაღებული შეტაკებები, ლიბანის დედაქალაქში კვლავ დაძაბული ვითარებაა. უკანასკნელი ორი დღის მანძილზე ბეირუთის დასავლეთ სექტორის რაიონებში დაზოცეს შვიდი და დაჭრეს დაახლოებით 30 კაცი.

გუშინ საღამოს ცეცხლი დაუშინეს არაბულ სახელმწიფოთა ძალების პოზიციებს. ამ ძალების სარდლობამ გასცა ბრძანება გაუფრთხილებლად ესროლონ პროვოკატორებს.

უკანასკნელი დღეების ამბები ლიბანის დედაქალაქში მეტადრად დაკავშირებულია ისრაელსა და მისი მომხრე კონსერვატიული ძალების ცდებთან ძალაში დატოვონ სამხრეთ ლიბანის რაიონების ოკუპაცია.

პრესის ცნობებით, დღეს დილით დაიწყება სამხრეთ ლიბანის ზოგიერთი რაიონიდან ისრაელის ჯარების გაყვანის პირველი ეტაპი. გათვალისწინებულია ჯარების გაყვანა არკუნის რაიონიდან და მარჯაიუნის პროვინციიდან.

იბრძვიან უფლებებისათვის

მთელ იტალიაში იმართება მშრომელთა მასობრივი დემონსტრაციები და მიტინგები თავიანთი სოციალური უფლებების და უწინარეს ყოვლისა შრომის უფლების დასაცავად.

სადღეისოდ უმუშევრობის დონე ამ ქვეყანაში ყველაზე მაღალია დასავლეთ ევროპის ქვეყნებს შორის — იტალიაში სამუშაო არა აქვს 1,7 მილიონ კაცს.

სურათზე: რომში გამართული მიტინგის მონაწილეები ხელისუფლებისაგან მოითხოვენ დასაქმების მწვავე პრობლემის გადაწყვეტას.

კამერა პრეს-საკლესის ფოტო.

ჰრიზისი გაგრძელდება

ლონდონი, 11 აპრილი (საკდესი). ინგლისის პარლამენტის თემთა პალატას განსახილველად წარუდგინეს მთავრობის 1978-1979 საფინანსო წლის ბიუჯეტის პროექტი. როგორც მოსალოდნელი იყო, ფინანსთა მინისტრი დ. ჰილი შეეცადა პროექტი გაესაღებინა როგორც „დიდმნიშვნელოვანი პროგრამა“ ღრმა და გაჭიანურებული კრიზისის წინააღმდეგ ბრძოლისა, რომელსაც დიდი ბრიტანეთის ეკონომიკა განიცდის. მაგრამ მომომხილველთა უმრავლესობის თვალსაზრისით, მასში არ არის გათვალისწინებული კრიზისის მასშტაბი, რეალური ღონისძიებანი მისი დაძლევისათვის.

მთავრობამ უარი თქვა მნიშვნელოვნად გაეადიდებინა ასიგნებანი ეკონომიკისათვის. ამავე დროს ბევრი გაგლენიანი ეკონომისტი ხაზს უსვამს, რომ ინვესტიციების ქრონიკულ ნაკლებობას მოჰყვა უსასტიკესი კრიზისი მეტალურგიაში, მანქანათმშენებლობაში, საბინაო მშენებლობაში, ეკონომიკის სხვა საკვანძო დარგებში, აგრეთვე სოციალური მომსახურების სფეროში.

ამის შედეგად, პრესის აზრით, კრიზისი გაგრძელდება.

დაისჯებიან თუ არა?

ვაშინგტონი, 11 აპრილი (საკდესი). გამომძიების ფედერალური ბიუროს ყოფილი შეფის პ. გრეისა და ორი მისი მოადგილის წინააღმდეგ აღძრულია სისხლის სამართლის საქმე, განაცხადა პრეს-კონფერენციაზე ამერიკის შეერთებული შტატების იუსტიციის მინისტრმა გ. ბელმა. სამივეს ბრალად ედება ამერიკელთა მოქალაქეობრივი უფლებების დარღვევა: სატელეფონო საუბრების კანონსაწინააღმდეგო მიყურადება, წერილების პელუსტრაცია და გამომძიების ფედერალური ბიუროსათვის „საინტერესო“ დოკუმენტების გატაცების მიზნით შენობების გატეხვა.

გრეისა და მისი მოადგილეების წინააღმდეგ ბრალდების წაყენება გამოიწვია გამომძიების ფედერალური ბიუროს ნიუ-იორკის განყოფილების ყოფილი უფროსის ჯ. კერნის საქმის გამოძიებამ, რომელიც საზოგადოებრიობის მოთხოვნით დაიწყო. მასაც ბრალად დაედო სატელეფონო საუბრების მიყურადება, წერილების გახსნა და ნიუ-იორკის ერთ-ერთი სტუდენტური ორგანიზაციის დოკუმენტების გატაცება. გამომძიების დროს დადგინდა, რომ კერნი თავისი ვაშინგტონელი ხელმძღვანელების პირდაპირი მითითებით მოქმედებდა.

მიწისქვეშა ატომური აფეთქება

ნიუ-იორკი. (საკდესი). დიდმა ბრიტანეთმა ამერიკის პოლიგონზე ნევადის შტატში მოახდინა ორი ატომური მოწყობილობის აფეთქება. მუხტები აფეთქეს დაახლოებით 700 მეტრ სიღრმეზე.

როგორც ამერიკის შეერთებული შტატების ენერგეტიკის საამინისტროს წარმომადგენელმა განაცხადა, გამოცდა კოდური სახელწოდებით „ფონდუტა“ განხორციელდა ატომური გაცვლის შესახებ ამერიკა-ინგლისის შეთანხმების შესაბამისად. 1962 წლის მარტიდან დღემდე ჩატარდა 6 ასეთი ერთობლივი ატომური მიწისქვეშა გამოცდა.

უცხოელი ავტორები „კომუნისტის“ ფურცლებზე

თავს დაბვტრიალებს „მფრინავი სიკვდილი“

ლონდონის ცაში წამდაუწუმ დაფრინავენ სამხედრო ბომბდამშენები, რომლებიც უკან გრძელ თეთრ კუდებს ტოვებენ. როგორც ჩანს, ეს ამერიკული თვითმფრინავებია, რომლებიც საწვრთნელ ფრენას აწყობენ ევროპაში და უკან. მათ რომ უყურებ, შენდაუნებურად ფიქრობ, რა მოუვიდოდა ჩვენს უზარმაზარ ქალაქს, ერთ-ერთ მათგანს შემთხვევით ატომური ბომბი რომ ჩამოეგდო...

ამიტომ ყოველთვის, როცა ცაში თვითმფრინავს ხედავ, განსაკუთრებთ გრძნობ, რა საშიშროების წინაშე დგანან ქალაქები და მშვიდობიანი მოსახლეობა. და მაშინ ლონდონი კიდევ უფრო ძვირფასი ხდება ჩემთვის იმიტომ, რომ ვიცი, თუ ომი დაიწყო, იგი იმ ქალაქებს შორის აღმოჩნდება, რომლებიც პირველნი შეწყვეტენ არსებობას.

ხოლო მოსპობის საფრთხე კვლავ რეალურია, სანამ ჩვენს თავზე ატომური ტყვია-წამლით დატვირთული ბომბდამშენები დაფრინავენ. ჩვენი ქალაქების უშიშროების ერთადერთი გარანტიაა ავუკრძალოთ ბომბდამშენებს ცაში აფრენა და მიწაში ღრმად ჩავფლათ ატომური მუხტები. მხოლოდ მაშინ ამოისუნთქავს კაცობრიობა თავისუფლადეს არის განიარაღების მიზანი.

განიარაღების საკითხი ახალი არ არის, მაგრამ საშიშროების ფაქტორის ზრდის კვალობაზე სულ უფრო აქტუალური ხდება. უბედურება ის არის, რომ დასავლეთში განიარაღება ყოველთვის იდეალისტურ ოცნებად ითაჩნდათ. თუ დაველოდებთ ამას, რომ ეს საკითხი თავისთავად, ნატურის თვალის მეშვეობით გადაიჭრება, ეს მართლაც იდეალიზმია. სწორედ ეს როლი აკისრია განიარაღების კომიტეტს, რომელიც სხდომებს მართავს უნივერსიტეტში 1961 წლიდან და დღეს უკვე 31 ქვეყნის წარმომადგენლებს აერთიანებს.

საბჭოთა კავშირს ბევრჯერ წამოუყენებია კომიტეტში კონსტრუქციული წინადადებანი. მაგალითად, მან წარმოადგინა ატომური იარაღის გამოცდის სრული და საყოველთაო აკრძალვის შესახებ ხელშეკრულების პროექტი. გასული წლის იანვარში ამ წინადადების თაობაზე დაიწყო კონსულტ

ქართული ჩაი ურალში

ჩაის კვირეული სვერდლოვსკში

სტუმართმოყვარე სვერდლოვსკელები გულთბილად შეხვდნენ კვირეულის მონაწილე საქართველოს დელეგაციას.

—მოხარული ვართ, რომ ჩვენს მიწა-წყალზე ქართული ჩაის ზეიმია, — გვეუბნება კვირეულის საორგანიზაციო კომიტეტის თავმჯდომარის მოადგილე ი. კოზლოვი. — ჩვენს ქალაქებს დიდი მეგობრული ურთიერთობა აქვთ, სოციალისტურ შეჯიბრებაში ვართ ჩაბმული, რათა უფრო დავამშვენოთ ისინი, ავამაღლოთ კულტურა, დისციპლინა, მშრომელთა ცხოვრების დონე. სვერდლოვსკელებს უყვართ ჩაი. არ მეგულება ოჯახი, სადაც მას სამოვნებით არ სვამდნენ. აბა წარმოიდგინეთ, რამდენი ადამიანი მოიგონებს საქართველოს, გმირ მეჩაიეებს და დალოცავს მათ მარჯვენას. მადლობას გიხდით სვერდლოვსკელთა ესოდენი დაფასებისათვის. დიე ქართულმა ჩაიმ უფრო დაგვაახლოოს ერთმანეთთან, განგვმტკიცოს მეგობრობა.

საუბარში ბუნებრივად ჩაება საქართველოს სსრ კვების მრეწველობის მინისტრის მოადგილე რ. ჩხაიძე.

— თბილისელებს, — თქვა მან, — ისე ახარებთ სვერდლოვსკელთა მიღწევები, როგორც საკუთარი ქალაქის თუ რესპუბლიკისა. სვერდლოვსკელებს ბევრი რამ აქვთ სამაყო, მათ, მართლაც, რომ, უდიდესი წვლილი შეაქვთ ქვეყნის სახალხო მეურნეობის განვითარებაში. სამშობლოს წინაშე ყოველთვის ვალმოხდილი არიან აგრეთვე საქართველოს მეჩაიეები. ქართული ჩაი 16 ქვეყანაში იგზავნება, აქედან 8 კაპიტალისტურ სახელმწიფოში. საბჭოთა კავშირის მოსახლეობის მოთხოვნილებას დასაკმაყოფილებლად 170 ათასი ტონა ჩაია საჭირო, აქედან სამამულო მრეწველობა 110 ათას ტონას უშვებს. ჩვენი მიზანია უახლოეს ხუთწლედებში მთლიანად უზრუნველყოთ მოსახლეობა საკუთარი ჩაით. გვჯერა, რომ სვერდლოვსკელები უფრო ახლოს გაიცნობენ ქართულ ჩაის, მის ტექნოლოგიას, მისი დაყენების წესს. ჩვენი სპეციალისტები, ტტესტერები მოსახლეობას უხსნიან და პრაქტიკულად უჩვენებენ, თუ როგორ უნდა ჩაის მოვლა-დაყენება და შენახვა.

ამ საუბრის შემდეგ ეწვეოთ სემინარს, რომელიც მოაწყეს საავაჭრო დარგის ხელმძღვანელებმა ქართული ჩაის სპეციალისტების მონაწილეობით. აქ ფართო მსჯელობა გაიმართა ჩაის კვირეულის შესახებ...

სვერდლოვსკში ორი დღეა თოვს. თერმომეტრი 12-15 გრადუს ყინვას უჩვენებს. აქაურებს ეს არაკვირვებს, პირიქით, უკმაყოფილებასაც კი გამოთქვამენ, მეტად თბილი ზამთარი გვქონდა და გაზაფხულიც ნაადრევად ავწეწიაო. რა თქმა უნდა, ამინდი ამინდად რჩება, ისევ თოვლი ისევ ყინვა. ჩაის კვირეული კი გზას მიიკვლევს.

რა მოგვიტანა განვლილმა დღეებმა, იმსახურებს თუ არა ჩატარებული ღონისძიებები მოწონებას და, რაც მთავარია, რა შენიშვნები და სურვილები აქვთ სვერდლოვსკელებს?

როგორც წესი, მომხმარებელსა და ჩაის მუშაკებს შორის შუამავლად ვაჭრობის დარგის მუშაკები გამოდიან. თუ რაიმე შენიშვნები და წინადადება აქვთ მშრომელებს, პირველ რიგში სწორად გამყიდველთაგან გაიგებთ. ამიტომ მათთან შეხვედრებმა, საუბრებმა, მსჯელობამ ბევრი რამ დაგვანახა. კვირეულის პროგრამის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი იყო სემინარი, რომელსაც დამრიგებლური და გამოცდილების გაზიარების ხასიათი ჰქონდა.

აქ გამოვიდნენ სამრეწველო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსი სპეციალისტი ი. გლდაგაძე და თბილისის ჩაის სახლის დირექტორი ნ. ნებიერიძე. პრაქტიკულად უჩვენეს, თუ როგორ უნდა ჩაის დაყენება-შენახვა. რაოდენ შრომატევადია ჩაის კულტურა, მისი ტექნოლოგია და მომხმარებლამდე მიტანა. ეს ნათლად ჩანდა ქართული კინოფილმებიდანაც, რომლებიც დემონსტრირებული იყო აქ.

ბევრი რამ ითქვა ქართული ჩაის კვირეულისადმი მიძღვნილ პრესკონფერენციაზე, რომელსაც პრესის, რადიოსა და ტელევიზიის წარმომადგენლებთან ერთად ეს-წრებოდნენ ქალაქის პარტიული, სამეურნეო და ვაჭრობის ხელმძღვანელი მუშაკები. აქ მოწყობილი იყო ქართული ჩაის ფართო ასორტიმენტის გამოფენა — მშრომელთა წინაშე გამოვიდნენ საწარმოო გაერთიანება „საქართველოს ჩაის“ უფროსის პირველი ოთადგილე ლ. ხარებავა, ჩაის მრეწველობის საკავშირო სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის ტექნიკური ბიოქიმიის განყოფილების გამგე, მეცნიერებათა კანდიდატი გ. ხურციძე, თბილისის ჩაის სახლის დირექტორი ნ. ნებიერიძე.

ბევრი საყურადღებო საკითხი წამოჭრეს მასპინძლებმა. მათ შორის წინა ჯლანზე წამოწეული იყო მომხმარებლამდე ამა თუ იმ პროდუქტის, მათ შორის ჩვენებური ჩაის მიწოდების „ულტუმა“, ხარისხი, ლამაზად შეფუთვა, რეკლამა. პრეზიდიუმიდან ითქვა, რომ არცთუ იშვიათია შემთხვევები, როცა ჩაი დაბალი ხარისხისაა, მასში ნახავთ თეთრ ღეროებს, სათანადო დონეზე არ დგას ტრანსპორტირება და შენახვის კულტურაც, ამასთან თქვეს და სავსებით სამართლიანადაც, რომ მუშათა დიდი ტრადიციის ქალაქს სვერდლოვსკს, რომელიც სოციალისტურ შეჯიბრებაშია ჩაბმული თბილისთან, მეტი რაოდენობით ძიაწოდონ მაღალხარისხოვანი ჩაი. ეს თავისთავად ჩაის კულტურის საუკეთესო პროპაგანდა იქნება.

„კვირეულის პროგრამაში მთავარი ადგილი ეჭირა მაღაზიებში ჩაის გამოფენა-ვაჭრობას ქართველი ტიტესტერების მონაწილეობით ჩაის დაყენების წესის პროპაგანდას, რესტორნებში ჩაის დეგუსტაციას, ჩაის სპეციალისტთა გამოსვლას სხვადასხვა დაწესებულებებსა და სასწავლებლებში.

ქართული ჩაის პროპაგანდის პარალელურად დელეგაციის მონაწილეები ეცნობიან ქალაქის ღირსშესანიშნაობებს, მშენებლობებს, მუზეუმებს, ისტორიულ ადგილებს.

ვ. გაგელია,
„კომუნისტის“ სპეც. კორ.
სვერდლოვსკი.

ფეხბურთი

ნავსი გატეხეს

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — 1:0 (0:0)

თბილისი, 12 აპრილი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. ყ ბრადუსი, 70.000 მაყურებელი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი): გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„დინამო“ (კიევი): იურკოვსკი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ლოზინსკი, ბურიაკი (ონიშჩენკო), ბერეზნოი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

გოლი — შენგელია (54-ე წუთზე).

გაფრთხილებული არიან კონკოვი და კანთელაძე.

უპანასკნელად თბილისის „დინამომ“ კიეველ თანაკლუბელის საჩემპიონატო მატჩი 1971 წელს მოუგო. მას მერე თბილისელები 6-ჯერ ფრეს დასჯერდნენ, 5-ჯერ დამარცხდნენ და მხოლოდ ერთხელ (1976 წელს) წაგებული მატჩის შედეგი გამარჯვებად ჩაეთვალათ. ფეხბურთის ქომაგებს ეს შემთხვევა ახსოვთ: კიეველებმა ათამაშეს ფეხბურთელი, რომელიც გუნდში ოფიციალურად არ იყო გაფორმებული.

როგორც ვხედავთ, სარევანშო განწყობილების მიზეზი მასპინძლებს საკმაოზე მეტი ჰქონდათ, და მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს განწყობილება სსრ კავშირის ჩემპიონთან მეორე პრიზიორმა ნახატრ გამარჯვებად აქცია.

მაშ ასე, რომ იტყვიან, ნავსი გატყდა. ყველამ ვიცით, რომ მატჩს იგებს ის გუნდი, რომელსაც მეტოქეზე მეტი გოლი გაიქვს. მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ეს რომ იყოს, იგი მაშინ ის დიდებული სანახაობა აღარ იქნებოდა, რომელსაც ათასობით გულშემატკივრისთვის ესოდენ სიხარული მოაქვს. გადაუპარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებმა ყველა რგოლში საუცხოოდ ითამაშეს, ეყოთ თავდაუზოგავი ბრძოლისათვის ძალაც, ოსტატობაც და მახვილგონიერებაც.

მატჩში უპირატესობა ძირითადად თბილისელთა მხარეს იყო. თვით იმ დროსაც კი, რიცა მათი კარი საფრთხის წინაშე დგებოდა, მცველები რაღაც საოცარი სიდინჯით ახერხებდნენ საკუთარ კართან საშიში სიტუაციების უვნებელყოფას და იერიშის წამოწყებას. ძნელია გამოჰყო რომელიმე მოთამაშე, ვინაიდან უკლებლივ ყველამ ლამაზ და ღირსეულ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

ძველი მეგობრები კვლავ მეგობრებად დარჩნენ. ამის დასტური თუნდაც ის გახლავთ, რომ სტუმრებმა მასპინძლებს შეხვედრის შემდეგ გამარჯვება გულითადად მიულოცეს. ჩვენ მოწმე ვიყავით იმ მეგობრული საუბრისაც, რომელიც სტადიონის გვირაბში ფალლილ-დაქანცულ ყიფიანსა და ონიშჩენკოს შორის გაიმართა. რას იზამ, ერთ მატჩში ორი გამარჯვებული არ არის.

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

გუშინ თბილისის გარდა კიდევ ექვს ქალაქში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. აი როგორ დამთავრდა:

„კაირატი“ — ცსკა — 1:0.
„პახტაკორი“ — „ლოკომოტივი“ — 1:1.
„არარატი“ — „ტორპედო“ — 0:1.
„ნეფტჩი“ — „ზენიტი“ — 0:1.
„ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ — 2:1.
„დნეპრი“ — „ზარია“ — 0:2.

მეორე ლიგაში

11 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა ასპარეზობის მესამე ტურის მატჩები. საქართველოს გუნდებმა თავიანთი შეხვედრები ასე დამთავრეს:

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„ზენიტი“ (იეკატერინოდარი) — 2:0, „დინამო“ (ზუგდიდი)-„ურალეცი“ (ნიჟნი ტაგილი) — 1:1. „ფილა“ (გორი)-„ზვეზდა“ (ბერმო) —1:1, „გურია“ (ლანჩხუთი)-„ტიბინი“ (ყაზანი) — 1:1, „დინამო“ (ბათუმი)-„დინამო“ (კიროვი) — 2:0, „დინამო“ (სოხუმი)-„დრუჟბა“ (ივანოვო-ოლა) — 2:3.

ჭადრაკის მერიდიანებზე

თბილისში...

საქართველოს პირველობის მეორე ტურში ოსტატმა უბილავამ ცქიტიშვილთან შეხვედრაში გამარჯვა. საქართველოს ჩემპიონმა სტურუამ ასევე მეორე გამარჯვება იზეიმა, ამჯერად მაჭარაშვილთან. გედეონაშვილმაც მეორე გამარჯვება მოიპოვა — ტერაშვილთან. არჩვაძე დანებდა კუზნაში. საინტერესო გამოდგა ოსტატების შახტახტინსკისა და ნანა იოსელიანის შეხვედრა. ლაზიერის გამბიტის ერთ-ერთ ვარიანტში ნანამ შავებით რამდენადმე უკეთესი პოზიცია მიიღო, მაგრამ შახტახტინსკიმ (ადრე აზერბაიჯანის ერთ-ერთმა უძლიერესმა მოჭადრაკემ) გაათანაბრა მდგომარეობა და მეტოქეები ყაინაზე შეთანხმდნენ. დანარჩენი პარტიები გადაიდო.

ორი ტურის შემდეგ ორ-ორი ქულა აქვთ საქართველოს ჩემპიონ სტურუას, ოსტატ უბილავასა და ოსტატობის კანდიდატ გედეონაშვილს.

ლვოვში...

ლვოვის ზონალურ ტურნირში გადადებული პარტიების დამთავრებამ რამდენადმე გაარკვია მდგომარეობა სატურნირო ცხრილში, თუმცა რამდენიმე პარტია კვლავ დაუმთავრებელი დარჩა.

5 ტურის შემდეგ ბალაშოვსა და ეიჰანიანს 3,5-3,5 ქულა აქვთ ხუთიდან, მსოფლიოს ექს-ჩემპიონ სმისლოვს — 2,5 ქულა ოთხიდან.

სოჭში...

ჰაგუკთა მსოფლიო პირველობის შესარჩევ ორწრიან ტურნირზე გათამაშდა ოთხი ტური. 8 მონაწილეს შორის საქართველოდან თამაშობს თბილისელი ზ. აზმაიფარაშვილი. პირველ ტურში აზმაიფარაშვილმა მოუგო კრასნოდარელ ლ. ფსახისს, მეორეში დაუზავდა კიეველ ბ. ტიბოროვს, მესამეში — რიგელ ზ. ლინკას, ხოლო მეოთხეში — მოსკოველ ს. დოლმატოვს. 4 ტურის შემდეგ აზმაიფარაშვილს 2,5 ქულა აქვს და ლიდერია. ფრუნზელ ლ. იუტკევესა და ივანოველ ა. ხარტონოვს 2-2 ქულა და თითო გადადებული პარტია აქვთ.

□

გუნდი — სტადიონი — მაყურებელი

პირველი შედეგები

როგორც უკვე ვიტყობინებოდით, პროფკავშირების სპორტულ საზოგადოებათა ფეხბურთის ფედერაციამ დაიწყო ახალი პრიზი — „გუნდთან ერთად“ (გუნდი-სტადიონი-მაყურებელი).

პირველი ტურის მატჩების მიხედვით საუკეთესო კოლექტივად ცნეს თბილისის „დინამო“, სტადიონის მუშაკები და გულშემატკივრები. ამის თაობაზე გაზეთი „სოვეტსკი სპორტი“ იუწყება, რომ თბილისის „დინამოს“ ფეხბურთელებმა აჩვენეს ტექნიკური, შედეგიანი და კორექტული თამაში; სტადიონის მუშაკებმა ყველაფერი იღონეს იმისათვის, რომ მატჩი მოწყობილიყო საზეიმო ვითარებაში; გულშემატკივრები, რომელებსაც თავი ეჭირათ ღირსეულად, ისე როგორც ეს ხანთამაშო სიტუაციებში ზედმიწევნით გარკვეულ ადამიანებს ახასიათებთ, გულიანად მასპინძლები აღმოჩნდნენ. საბოლოოდ თბილისელებმა 105 ქულა დააგროვეს (50 ათასი მაყურებელი — 100 ქულა პლუს თითო ქულა 50 ათასს ზევით თითოეული ათასისათვის)“... 100-100 ქულა აქვთ „ჩერნომორეცს“, „ნეფტჩის“, „შახტიორს“ და „პახტაკორს“.

რედაქტორი
დ. მჰედლიშვილი.

ეუკადღება: ნუალდიდგაა

რატომ აზვირთდნენ საქართველოს მდინარეები?

საქართველოს მდინარეების საგაზაფხულო წყალდიდობა, რომელიც მარტის დამლევს დაიწყო, საკმაო სიზუსტით იწინასწარმეტყველეს საქართველოს სსრ ჰიდრომეტეოროლოგიური სამსახურის სამმართველოს თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდროლოგებმა. მდინარეებში წყლის დონე მთებში თოვლის დნობის კვალობაზე თანდათანობით მატულობდა. და თითქოს სიფათი სულაც არ იყო მოსაღოდნელი, მაგრამ გაზაფხულის წყალდიდობაში ამინდმა შეიტანა თავისი „კორექტივები“.

აპრილის პირველ რიცხვებში საქართველოს ტერიტორიაზე დასავლეთიდან შემოიჭრა ჰაერის ცივი მასები, რომლებიც ბარენცის ზღვის მხრიდან „დაეშვა“, ხოლო სამხრეთიდან ხმელთაშუა ზღვის მხრიდან თავისებური რკალის გაყოლებით თბილმა ჰაერმა იწყო შემოსვლა. ჰაერის მძლავრი ნაკადები ერთმანეთს შეხვდა დასავლეთ საქართველოს რაიონებში, რის შედეგადაც 7-დან 9 აპრილის ჩათვლით აქ ვრცელ ტერიტორიაზე მოვიდა მნიშვნელოვანი, ხოლო მთელ რიგ ადგილებში ძლიერი წვიმები. მაგალითად, 8 და 9 აპრილს ნალექების რაოდენობამ ლანჩხუთში 92 მილიმეტრს, ცხაკაიაში — 79, ქუთაისში — 75, ლეგარდეში — 69, ხოლო ამბროლაურში 52 მილიმეტრს მიაღწია.

— ძლიერმა წვიმებმა განაპირობა დასავლეთ საქართველოში მდინარეების უმრავლესობის წყლის დონის მკვეთრი, ინტენსიური მომატება, — უთხრა საქინფორმის კორესპონდენტს გ. ცხომელიძეს თბილისის ამინდის ბიუროს ჰიდროლოგიური პროგნოზების განყოფილების უფროსმა, გეოგრაფიის მეცნიერებათა კანდიდატმა ლ. გეგელაშვილმა, — მაგალითად, მდინარე რიონზე, სოფელ საქოჩაკიძოსთან, წყლის დონემ 6-დან 10 აპრილის ჩათვლით 3,5 მეტრით მიიმატა. წყლის ხარჯვამ წამში 3.500 კუბური მეტრი შეადგინა. ასეთი წყლის ხარჯვა რიონზე ჰიდროლოგიური დაკვირვების მთელ პერიოდში პირველად აღინიშნა 1977 წლის 19 აგვისტოს. წყლის ესოდენ დიდი ხარჯვის განმეორება, სპეციალისტების გაანგარიშებით ასწლეულში შეიძლება ერთხელ მოხდეს. პრაქტიკულად კი რიონზე ეს ორჯერ მოხდა უკანასკნელ რვა თვეში! ორივე შემთხვევაში სტიქიური მოვლენები ძლიერმა წვიმებმა გამოიწვია.

რიონის დაბლობზე სამტრედიის გადაღმა კოკისპირული წვიმების შედეგად წყალი ნაპირებზე გადავიდა, ხოლო სოფელ ჭალადიდის რაიონში მან მდინარის მარცხენა ნაპირის ჯებირიც კი გაარღვია. წყლის სტიქია აბობოქრდა აგრეთვე მდინარეების აჭარისწყლისა და სუფსის ქვემო წელში.

10 აპრილიდან დაიწყო აღმოსავლეთ საქართველოს მდინარეების წყლის დონის მატება. ჰაერის ცივმა მასებმა საქართველოს ტერიტორიაზე აღმოსავლეთიდან დაიწყო შემოსვლა. კახეთისა და ქართლის ველის რაიონებში ისინი შეხვდნენ ხმელთაშუა ზღვის მხრიდან შემოსული ჰაერის თბილ მასებს. წვიმების შედეგად მტკვარში წყლის დონემ თბილისთან დღე-ღამეში მეტრ-ნახევარზე მეტი მოიმატა. ამჟამად წყლის დონემ ყველგან თანდათანობით იწყო კლება.

როგორც თბილისის ამინდის ბიუროს უფროსმა ინჟინერ-სინოპტიკოსმა ნ. გეორგაიამ თქვა, უახლოეს დღეებში საქართველოს ტერიტორიაზე ამინდი გაუმჯობესდება და გაზაფხული სულ უფრო და უფრო შეავა ძალაში. (საქინფორმი).

ამინდი

დღეს დასავლეთ საქართველოში მოსალოდნელია ცვალებადი მოღრუბლულობა, რიონის ხეობაში იქროლებს წამში 12-17 მეტრი სიძლიერის აღმოსავლეთის ქარი, დაბლობ რაიონებში 12-16, მთებში 6-11 გრადუსი სითბო იქნება.

აღმოსავლეთ საქართველოს ზოგიერთ რაიონში მოსალოდნელია მცირე წვიმა, სუსტი ქარი, ტემპერატურა 6-11, მთებში 1-5 გრადუსი სითბო.

თბილისში მოსალოდნელია 8-10 გრადუსი სითბო.



ხსოვნა გულისა

პიერ კობახიძის დაბადების 70 წლისთავის ალსანიშნავი საღამო

ყოველ გაზაფხულს, ვარდფურცლობის ჟამს ძის საფლავთან მოწწებით მიდიან ახლობლები და მეგობრები, ყვავილებით შეამკობენ საფლავს, მოიგონებენ... ასე გრძელდება დღიდან გარდაცვალებისა. დარჩა ხსოვნა ადამიანზე, მსახიობზე, მეგობარზე. პიერ კობახიძის ადგილი ვერავინ ვერ შეავსო მარჯანიშვილის თეატრში, მშვენივრად თქვა ვერიკო ანჯაფარიძემ: „მისი ადგილი ცარიელი დარჩა. შეიძლება უკეთესები მოვიდნენ, მაგრამ პიერი სხვა იყო, სხვა პეწი და ლაზათი ჰქონდა“.

— თქვენ, მუდმივი პარტნიორები იყავით ქალბატონო ვერიკო...

— დიახ. „მუდმივი სატრფოები“. ის იყო ჩემი ფერდინანდი, ჩემი ონისე, ჩემი ურიელი... დიდებულად ითამაშა ურიელი... ეს როლი გვირგვინივით ადგას პიერ კობახიძის შემოქმედებას. 24 წლისამ შეცვალა უშანგი ჩხეიძე, 55 წლისა გამოეთხოვა ურიელი.

მანამდე კი მარჯანიშვილის სკოლის შესანიშნავმა წარმომადგენელმა, რესპუბლიკის სახალხო არტისტმა პიერ კობახიძემ საინტერესო სახეთა მთელი წყება შექმნა ქართულ სცენაზე, მარჯანიშვილის თეატრში. საკმარისია დავასახელოთ ფერდინანდი (ფ. შილერის „ვერაგობა და სიყვარული“), ჩოხთა (ვაჟა-ფშაველას „მოკვეთილი“), ონისე (ლ. ყაზბეგის „მოძღვარი“), იცკა (გ. ბაქაზოვის „იცკა რიეიხაშვილი“), პროლეტარიატის ბელადის ლენინის სახე (ნ. პოგოდინის „კრემლის კურანტები“) და ა. შ.

მომხიბლავმა გარეგნობამ, შესრულების რომანტიკულმა, ამაღლებულმა მანერამ პ. კობახიძეს თავიდანვე „მბრეების“ თამაში დააკისრა. მაგრამ მსახიობმა ბრწყინვალედ დაამტკიცა (პეტრუჩიო — ვ. შექსპირის „ჭირვეულის მორჯულება, ტუჩა დაშნიანი — კ. ლორთქიფანიძის „კოლხეთის ცისკარი“), რომ იგი სახასიათო-კომედიური პლანის მსახიობიც იყო.

პ. კობახიძე ბუნებამ იუმორის დიდი ნიჭითაც დაჯილდოვა. მისი მახვილსიტყვაობა, ექსპრომტად შეთხზული ლექსები მეგობრებზე დღესაც ბევრს ახსოვს. რეჟისორი გ. ლორთქიფანიძე იგონებს: კინოსტუდიის ეზოში, პატარა მოედანზე რუსთაველის თეატრის მსახიობები მოსკოველ მსახიობებს ეჯიბრებოდნენ ალაბოლაში. თამაში რუსთაველის თეატრის მსახიობებმა მოიგეს. ერთ-ერთი მაყურებელი რუსთაველის თეატრიდან ნიშნის მოგებით ეკითხება პიერ კობახიძეს: — ბატონო პიერ, თქვენ გეკავთ ასეთი კალთაბურთელები?

— არა გენაცვალე, ჩვენ მსახიობები გვყავსო, — უპასუხა პიერმა.

... იგი დღეს 70 წლისა იქნებოდა. 10 აპრილს პიერ კობახიძეს ხსოვნის საღამო გადაუხადა ქართულმა თეატრალურმა საზოგადოებამ და მარჯანიშვილის თეატრმა. მაყურებელმა ნახა ნაწყვეტი „ურიელ აკოსტადან“ კოტე მახარაძის მონაწილეობით. ნაწყვეტში, შიგადაშიგ, ჩართული იყო პიერ კობახიძის ხმა. დასწრეთ მოგონებანი გაუზიარეს საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა, საქართველოს თეატრალური საზოგადოების თავმჯდომარემ დ. ალექსიძემ, მარჯანიშვილის თეატრის სამხატვრო ხელმძღვანელმა, რეჟისორმა გ. ლორთქიფანიძემ, საბჭოთა კავშირის სახალხო არტისტმა ვ. ანჯაფარიძემ, ჟურნალისტმა თ. გიორგაძემ.

პ. კობახიძეს ძალზე უყვარდა პოეზია და თვითონაც კარგ ლექსებს წერდა. მსახიობებმა მ. გოგრგილაძემ, ი. ჭიჩანიძეებმა, ო. მელვინეთუხუცესმა, მ. ბიბილეიშვილმა, გ. სიხარულიძემ, გ. გეგეჭორმა, რ. თაბუკაშვილმა, გ. ტატიშვილმა, ი. ტრიბოლსკიმ, ა. მიქაძემ გულთბილად მოიგონეს უფროსი მეგობარი, წაიკითხეს პ. კობახიძის ლექსები. ბეგრმა შეიძლება არც კი იცოდეს რომ კინოფილმ „საბუდარელი ჭაბუკიდან“ კომპოზიტორ რ. ლაღიძის სიმღერის ტექსტი პ. კობახიძეს ეკუთვნის. „გოგოვ, გოგოვ, მე შენს მეტი ჯერ არავინ მყვარებია“ — ამღერა საღამოზე ჩიქოვანების ოჯახმა.

... ხსოვნა დიდხანს რჩება, ძნელია გულიდან მისი ამოშლა. მითუმეტეს, თუ იგი საყვარელ, ღვაწლმოსილ მახლობელ ადამიანს ეკუთვნის.

ვ. მარდალეიშვილი.

• • •

სურათზე: პიერ კობახიძე — ურიელ აკოსტა.

საბჭოთა ქრმია ალზრდის სკოლაა

□

შვილი ჯარში მსახურობს

ჩოხატაური, ქვეინოგანი რუბენ და მზია თავვართქილაძეებს

პატივცემულო მშობლებო! ნაწილის სარდლობა, პარტიული და კომკავშირული ორგანიზაციები გაცნობებენ, რომ თქვენი ვაჟი ვიტალი, რომელიც საბჭოთა არმიის რიგებში იმყოფება, პატიოსნად და ღირსეულად ასრულებს თავის ძნელ, მაგრამ საპატიო მოვალეობას.

მხედრული მოვალეობის სანიმუშოდ ფულრულებისათვის იგი მრავალგზის წაახალისა ნაწილის სარდლობამ, თავის მეთაურებსა და ამხანაგებს შორის კარგი ავტორიტეტი დაიმსახურა.

მადლობას გიხდით, რომ კომუნისტური პარტიისა და საბჭოთა ხალხის ერთგულების სულისკვეთებით აღზარდეთ თქვენი შვილი.

პატივცემულო რუბენ ვლადიმერის ძეს და მზია შალვას ასულო, ღიოსეულად იშროლეთ ჩვენი საუკარელი სამშობლოს საკეთილდღეოდ, საბჭოთა არმიის მეომრები ფიზიზლად დგანან დიდი ოქტომბრის მოხაპოვართა სადარაჯოზე.

სამხედრო ნაწილის მეთაური
კოლესნიკი.

თბილისი, ლამარა და ტარიელ ვეკუეებს



მთელმა საბ. ჭოთა ხალხმა იდღესასწაული ხსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მე-60 წლისთავი. დიდი ზეიმი იყო ყველგან, მათ შორის ჩვენს სამხედრო ნაწილში, სადაც მხედრულ მოვალეობას იხდის თქვენი შვილი ანზორი. იმ საერთო წარმატებებში, რომლებიც ჩვენმა ნაწილმა მოიპოვა, თვალსაჩინო წვლილი შეიტანა ანზორმა, რომელმაც პირნათლად შეასრულა ნაკისრი ვალდებულება. იგი სამხედრო და პოლიტიკური მომზადების ფრიადსანია, ჩინებულად არის დაუფლებული სამხედრო პროფესიას, მებრძოლთა შორის ავტორიტეტი აქვს მოპოვებული. ისევე როგორც ზოგიერთი სხვა მოწინავე მებრძოლი, ანზორიც არაერთხელ დავჯილდოეთ.

სამხედრო ნაწილის მეთაური
ი. კირილოვი.

დედაქალაქის პეიზაჟები



თბილისი. გამარჯვების პარკი.

ა. სასაკოვის ფოტო.

პარტიზანის სახელობისა

ივანე შუბითიძის ქუჩა პინსკში

ბელორუსიის ქალაქ პინსკის კიდევ ერთ ქუჩას დეკრეტი დიდი სამამულო ომის გმირის სახელი. სახალხო დეპუტატთა საქალაქო საბჭოს აღმასკომმა მიიღო გადაწყვეტილება ქუჩას ეწოდოს ახალი სახელი — ივანე შუბითიძისა.

მზიური საქართველოს შვილი ფაშისტ დამპყრობთა წინააღმდეგ ბრძოლის წლებში მეთაურობდა პინსკის პარტიზანულ ბრიგადას.

მტერზე გამარჯვების შემდეგ ივანე გიორგის ძე შუბითიძე საბჭოთა სამეფოზე იყო პინსკსა და ვიტებსკში. მას მიენიჭა ქალაქ პინსკის საპატიო მოქალაქის წოდება.

ი. კოგანი,
დუბროვნოს რაიონული გაზეთის „დნეპროვსკაია პრავდის“ თანამშრომელი:

ფეხბურთი

ნავსი გატეხეს

„დინამო“ (თბილისი) — „დინამო“ (კიევი) — 1:0 (0:0)

თბილისი, 12 აპრილი, ვ. ი. ლენინის სახელობის „დინამოს“ სტადიონი. ყ ბრადუსი, 70.000 მაყურებელი.

მსაჯი: ა. კადეტოვი (მოსკოვი).

„დინამო“ (თბილისი): გაბელია, ხიზანიშვილი, კანთელაძე, ხინჩაგაშვილი, მუჯირი, ჩივაძე, მ. მაჩაიძე, ქორიძე, გუცაევი, ყიფიანი, შენგელია.

„დინამო“ (კიევი): იურკოვსკი, კონკოვი, ზუევი, ფომენკო, რეშკო, ლოზინსკი, ბურიაკი (ონიშჩენკო), ბერეზნოი, კოლოტოვი, ვერემეევი, ბლოხინი.

გოლი — შენგელია (54-ე წუთზე).

გაფრთხილებული არიან კონკოვი და კანთელაძე.

უპანასკნელად თბილისის „დინამომ“ კიეველ თანაკლუბელის საჩემპიონატო მატჩი 1971 წელს მოუგო. მას მერე თბილისელები 6-ჯერ ფრეს დასჯერდნენ, 5-ჯერ დამარცხდნენ და მხოლოდ ერთხელ (1976 წელს) წაგებული მატჩის შედეგი გამარჯვებად ჩაეთვალათ. ფეხბურთის ქომაგებს ეს შემთხვევა ახსოვთ: კიეველებმა ათამაშეს ფეხბურთელი, რომელიც გუნდში ოფიციალურად არ იყო გაფორმებული.

როგორც ვხედავთ, სარევანშო განწყობილების მიზეზი მასპინძლებს საკმაოზე მეტი ჰქონდათ, და მათს სასახელოდ უნდა ითქვას, რომ ეს განწყობილება სსრ კავშირის ჩემპიონთან მეორე პრიზიორმა ნახატრ გამარჯვებად აქცია.

მაშ ასე, რომ იტყვიან, ნავსი გატყდა. ყველამ ვიცით, რომ მატჩს იგებს ის გუნდი, რომელსაც მეტოქეზე მეტი გოლი გაიქვს. მაგრამ ფეხბურთი მხოლოდ ეს რომ იყოს, იგი მაშინ ის დიდებული სანახაობა აღარ იქნებოდა, რომელსაც ათასობით გულშემატკივრისთვის ესოდენ სიხარული მოაქვს. გადაუპარბებლად შეიძლება ითქვას, რომ მასპინძლებმა ყველა რგოლში საუცხოოდ ითამაშეს, ეყოთ თავდაუზოგავი ბრძოლისათვის ძალაც, ოსტატობაც და მახვილგონიერებაც.

მატჩში უპირატესობა ძირითადად თბილისელთა მხარეს იყო. თვით იმ დროსაც კი, რიცა მათი კარი საფრთხის წინაშე დგებოდა, მცველები რაღაც საოცარი სიდინჯით ახერხებდნენ საკუთარ კართან საშიში სიტუაციების უვნებელყოფას და იერიშის წამოწყებას. ძნელია გამოჰყო რომელიმე მოთამაშე, ვინაიდან უკლებლივ ყველამ ლამაზ და ღირსეულ გამარჯვებაში საკუთარი წვლილი შეიტანა.

ძველი მეგობრები კვლავ მეგობრებად დარჩნენ. ამის დასტური თუნდაც ის გახლავთ, რომ სტუმრებმა მასპინძლებს შეხვედრის შემდეგ გამარჯვება გულითადად მიულოცეს. ჩვენ მოწმე ვიყავით იმ მეგობრული საუბრისაც, რომელიც სტადიონის გვირაბში ფალლილ-დაქანცულ ყიფიანსა და ონიშჩენკოს შორის გაიმართა. რას იზამ, ერთ მატჩში ორი გამარჯვებული არ არის.

ჯ. ენუქიძე.

სხვა მატჩები

გუშინ თბილისის გარდა კიდევ ექვს ქალაქში გაიმართა უმაღლესი ლიგის ფეხბურთელთა გუნდების საკავშირო ჩემპიონატის მეორე ტურის შეხვედრები. აი როგორ დამთავრდა:

„კაირატი“ — ცსკა — 1:0.
„პახტაკორი“ — „ლოკომოტივი“ — 1:1.
„არარატი“ — „ტორპედო“ — 0:1.
„ნეფტჩი“ — „ზენიტი“ — 0:1.
„ჩერნომორეცი“ — „სპარტაკი“ — 2:1.
„დნეპრი“ — „ზარია“ — 0:2.

მეორე ლიგაში

11 აპრილს გაიმართა „ა“ კლასის II ლიგის IV ზონის ფეხბურთელთა ასპარეზობის მესამე ტურის მატჩები. საქართველოს გუნდებმა თავიანთი შეხვედრები ასე დამთავრეს:

„ლოკომოტივი“ (სამტრედია)-„ზენიტი“